# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
ილია ჭავჭავაძე

● №4 (4611) ● 17 მაისი ● 2023 წელი ● ● ● saxgani@gmail.com ● ფასი 2.00 ლარი


## სულხან ცინცაძის სახელობის ხელოვნების მე-16 სკოლა 55 წლისაა!

როცა გული გულობს

# დღესასწაულს, ანუ სასწაულ დღეს ყოველდღიურად ქმნიან!



**დიახ,** ხელოვნების მე-16 სკოლის პედაგოგებთა მოსწავლეებისთვის ყოველი დღე დღესასწაულია.

პედაგოგებს მოემადლათ იმდენი ცოდნა, გამოცდილება, ტაქტი, ოსტატობა და გულისხმიერება, წინასწარ ჭვრეტის უნარი, რომ ყოველ ყმაწვილში დაინახონ ღვთით ბოძებული ნიჭი, ჩასწვდნენ ბავშვების შინაგან სამყაროს, სათუთად ამოაწვდინონ მათი უნარ-ჩვევები, სწრაფვა და, სათანადო კალაპოტში ჩაყენებული, ნელ-ნელა, ისე, რომ მოსწავლეებს აუცილებლად ეხალისებოდეთ, მეტიც — თავადაც იჩენდნენ ინიციატივას, მიზანმიმართულად ატარონ ხელოვნების ზეალმტაცი სამყაროს რთულ, მაგრამ საოცრად მადლიან გზაზე.

ასე ატარებენ, ასე ასწავლიან, ასე აყალიბებენ 300-მდე მოსწავლეს საფორტეპიანო, საორკესტრო, კლასიკური და საესტრადო ვოკალის, სახვითი ხელოვნების, ქართული ხალხური ცეკვის განყოფილებებში.

ყმაწვილები ხელოვნების უდიდესი ნიმუშების შესწავლისას თავად ხდებიან ამ სასწაულთა თანაზიარნი და ერთგვარი შემოქმედნიც კი, როცა ასრულებენ მათ მრავალ კონცერტზე, კონკურსსა თუ ფესტივალზე.

და ხდება ყოველი დღე სასწაული.

ასეა ხელოვნების ამ სკოლის დაარსებიდან — 1968 წლიდან.





მას შემდეგ პედაგოგთა მრავალი თაობა შეიცვალა, მაგრამ უცვლელია, მეტიც — უფრო და უფრო იმატებს პედაგოგთა ცოდნა, გამოცდილება, საქმის დიდი სიყვარული და თავდადება, როცა მთავარი ორიენტირი მოსწავლეა.

უფროს თაობას ტვინში გვიჭედავდნენ, ისტორიის შემოქმედი ხალხის მასააო. პიროვნების როლს კი ყოველნაირად ჩქმალავდნენ. არადა, სწორედ ისტორია ღაღადებს საწინააღმდეგოს. ვინ მოთვლის, რამდენ ჭეშმარიტად დიდებულ პიროვნებას უტვირთია მთელი ქვეყნის ჭირ-ვარამი და ღირსეულად უტარებია სულის ამოხდომამდე.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი გვამცნობს: „მოღვაწე — პირი, რომელიც რამე საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა“; „მოღვაწეობა – საზოგადო, საქვეყნო საქმისთვის გაწეული შრომა, მუშაკობა, მოქმედება“.

ქვეყანა — სამშობლო კი ბიბლიით იქიდან დაიწყო, საცა პირველი წინაპარი დაიმარხა. ამ საფლავმა მიაჯაჭვა იმ ადგილს ადამიანი, ამუშაკა და ლოცვად დააყუდა.

სწორედ იქიდან, მოყოლებული, ყოველი ადამის ძის ღვაწლი იმით ფასდებოდა, თუ რა მიიტანა მან ქვეყნის სამსხვერპლოზე, რა არგო სამშობლოს, მოყვასს.

ნუ შევედრებით ერის ჭეშმარიტ ზეპურ მამებს. ქვეყნისთვის შრომა ხომ ნებისმიერ ადგილზე ძალუძს ნებისმიერ ჩვენგანს. ოღონდ, საამისო ნება ჰქონდეს და თითო აგური მიიტანოს ქვეყნის აღმშენებლობის ბალავერზე.

ყოველ მოღვაწეს თავისი ასპარეზი აქვს და რაოდენ უხვადაც დააბერტყა უფალმა კალთა თვისი, რაოდენი ნიჭითაც მადლყო, იმდენადვე დაავალდებულა, ეს წყალობა სამშობლოსთვის, ხალხისთვის მოეხმარა სახარისებული უსასყიდლოდ მოგეცათ და უსასყიდლოდ გასცემდეთოს შესატყვისად.



სწორედ ერთ-ერთი ასეთი მადლმოსილი, ქვეყნის მსახურებად ცხებული გახლავთ ხელოვნების მე-16 სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ლია მავზარაშვილი,** ვინც აგერ უკვე 50 წელიწადია სახელოვნად ხელმძღვანელობს სახელოვან ხელოვნების მე-16 სკოლას და ვისთვისაც სკოლა რა ხანია მეორე ოჯახად იქცა, სადაც სულსა და გულს აქსოვს ყმაწვილების ხელოვნების ჯადოსნურ სამყაროსთან ზიარების, მათი სულის გაფაქიზება-დახვეწის მართლაც საშვილიშვილო საქმეს, რადგან ხელოვნების სიდიადეს ცხებული ზნეობრივად მაღლდება, მამულიშვილდება და სამშობლოსაც ხომ ასეთები სჭირდება?!

ქალბატონ ლიას ყმაწვილქალობაში მოჰკიდა მისმა ანგელოზმა უხილავი ხელი და სწორედ იქ დააყენა, რისთვისაც მოავლინა აზრთაგამრიგემ ამქვეყნად — მუსიკის იდუმალი, ზეალმტაცი სავალი არგუნა. შეიშნოვა ეს მადლი ქალბატონმა ლიამ და 1966 წელს კონსერვატორია დაამთავრა ფორტეპიანოს კლასით. თან **ზაქარია ფალიაშვილის** სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში მუშაობდა კონცერტმეისტერად და პედაგოგად. შემდეგ თბილისის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრში გახლდათ მუსიკის განყოფილების გამგე. 1968 წელს კი თბილისის საქალაქო აღმასკომის კულტურის სამმართველოს უფროს ინსპექტორად განამწესეს მუსიკალური სკოლების განხრით. პარალელურად კი კონსერვატორიის სპეცფორტეპიანოს კათედრის პედაგოგი გახლდათ. 1973 წლიდან ხელოვნების მე-16 სკოლის დირექტორია. აქვე დავსძენთ: ნიჭიერი, შემოქმედი და გამორჩეული ახალგაზრდა კულტურის სამინისტრომ, კვალიფიკაციის ასამაღლებლად,



მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

გაგრძელება მე-2 გვ.

# დღესასწაულს, ანუ სასწაულ დღეს ყოველდღიურად ქმნიან!

პირველი გვერდიდან

მოსკოვის გნესინების სახელობის მუსიკალურ-პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში გაგზავნა, დიდი მეთოდისტის, ბატონ **ალექსანდე ალექსეევის** ასისტენტურაში.

აი, ასეთი მრავალმხრივ შემოქმედებითი გზა განვლო სკოლის დირექტორობამდე ქალბატონმა **ლია მავზარაშვილმა.** დავრწმუნდით – მან ამ განხრის სკოლების ყველა რგოლი თუ საფეხური გაიარა და გამონვლილვით იცის სკოლა. იგი კვლავ, უპირველესად, პედაგოგია, რომელსაც მეტი ევალება, ვიდრე კოლეგებს და სწორედ ამ პოზიციიდან წარმართავს მუშაობას ღირსების მედლის მფლობელი და საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი **ლია მავზარაშვილი.**

ფერი-ფერსაო, ნათქვამია და დირექტორს მხარში უდგას შემოქმედებითად, კოლეგიალურად მუშაობს კოლექტივთან ამაგდარი პედაგოგი, სამგზის წლის საუკეთესო პროფესიონალი, სასწავლო ნაწილის გამგე, ქალბატონი **ქეთევან ქოიავა.**

თუ სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მოედინება. ამიტომაც ჩამოყალიბდა მე-16 სკოლაში შემოქმედებითი, ძლიერი და საქმის ერთგული პედაგოგთა კოლექტივი.

რა გინდა რა განხრის სასწავლო დაწესებულება რთული ორგანიზმია და მისი გამართული მუშაობა ყოველი წახნაგის ურთიერთშეთანხმებული, მიზანმიმართული მუშაობის ლოგიკური შედეგია. ამიტომ სკოლის წარმატებებში უცილობელეია მისი ყველა პედაგოგის ღვაწლი.

სკოლის საშობაო კონცერტი, **წარჩინებულ მოსწავლეთა კონცერტი, საფორტეპიანო ანსამბლების კონცერტი, საფორტეპიანო განყოფილების კონცერტი, კლასიკური ვოკალის კონცერტი, საესტრადო ვოკალის კონცერტი, პირველკლასელთა კონცერტი, უკრავენ და მღერიან ბიჭები, საგუნდო მუსიკის საღამო, სახვითი ხე-**



**ლოვნების განყოფილების მოსწავლეთა გამოფენები, ქართული ხალხური ცეკვის განყოფილების ჩვენება, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (2 კონცერტი).**

ეს ჩამონათვალი მხოლოდ ყოველწლიურ საანგარიშო კონცერტებს მოიცავს სხვადასხვა საკონცერტო დარბაზში.

ჩამოსათვლელად ადვილია, მაგრამ ამ საქმეში მეტნაკლებად ჩახედულთათვის ცხადია, პედაგოგთა რაოდენი შრომა, ძალისხმევა დგას კონცერტებზე შესრულებული ყოველი ნაწარმოების მიღმა. ახლა კიდევ თავად კონცერტების ორგანიზება?! თანაც, როცა თვით კომპოზიტორთა კავშირშიც მართავ კონცერტებს?!

მაგრამ პედაგოგები დარწმუნებულნი არიან — მათი აღსაზრდელები არსად შეირცხვენენ თავს. სახელოვნად გამოვლენ სცენაზე და საოცარი საშემსრულებლო ოსტატობით მოხიბლავენ რა გინდა რა რანგის მსმენელს.

ზემოთ ჩამოთვლილს კიდევ მრავალი კონცერტი, კონკურსი, ფესტივალი დაურთეთ და არა მხოლოდ საქართველოში: თურქეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, საფრანგეთი. ახლა კიდევ მიუზიკლები: **„ოლივერი“, „პიტერ პენი“, „ენი“, „კატები“, „მატილდა“** ეს მიუზიკლები ბროდვეიზე იდგმებოდა. პედაგოგებმა შეძლეს და, მოსწავლეებთან ერთად, დიდებული სანახაობა შესთავაზეს მაყურებლებს. ყმაწვილებმა შინ თუ გარეთ ასახელეს სკოლა, დააფასეს პედაგოგთა ამაგი და მუდამ გამარჯვებულნი უფრო მონდომებით ეწაფებიან მუსიკის იდუმალებას.

სკოლის ყველა გამოჩენილი აღზრდილის ჩამოთვლა ძალზე გაგვიგრძელებდა სიტყვას. გამორჩეულთაგან რამდენიმე გამორჩეულს მოვიხსენიებ: ბარსელონის საოპერო თეატრის სოლისტი, მსოფლიო მნიშვნელობის მეცო-სოპრანო, **ქეთევან ქემოკლიძე,** საერთაშორისოდ აღიარებული აშშ-ში მოღვაწე პიანისტი **გიორგი ლაცაბიძე,** ჯაზმენი **მაია ბარათაშვილი,** მიუნჰენის კამერული ორკესტრის დირიჟორ-ხელმძღვანელი **კარინა ხაპოევი.**

კარგია ხელშეწყობა, კარგია, რომ მერია 24 წრჩინებულსა და 15 სოციალურად დაუცველ მოსწავლეს აფინანსებს და სკოლას კომუნალურ გადასახადებს უხდის.

ეგებ, ის დროც დადგეს – რაც შეიძლება მალე – ევროკავშირს რომ ვეპოტინებით, ევროპული ყოფა რომ გვინდა – ხელოვნების სკოლების მასწავლებელთა ანაზღაურება, თუ არ გაუტოლდება, მიუახლოვდეს მაინც ევროპის ქვეყნების ამ დარგის პედაგოგთა ანაზღაურებას, თორემ აქ რომ თვეში 25 ლარს უხდიან ერთ მოსწავლეზე, იქ, ერთი გაკვეთილი 50 ევრო ღირს. თანაც, გაკვეთილმა არ შეიძლება ნახევარ საათზე მეტ ხანს გასტანოს.

ეგებ, ვინმემ გვისაყვედუროს, ასეთ დღესასწაულზე, სკოლას რომ დაარსებიდან 55 წელი შეუსრულდა, ხოლო მის ამაგდარ ხელმძღვანელს დირექტორობის 50 წელი, ეს „მწარე აბი“ რა მოსატანი იყოო.

ნურას უკაცრავად, ჯერ რომ ეს „მწარე აბი“ კი არა სამწუხარო რეალობაა. მის მიღმა ადამიანები დგანან ოჯახებითურთ, და კიდევ, – ამ ფონზე უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა, რაოდენ თავდადებით, ერთგულებითა და სიყვარულით იღვწის თითქმის მხოლოდ ენთუზიაზმზე ხელოვნების მე-16 სკოლის ყოველი პედაგოგი, რათა ქვეყანას ხელოვნების სხვადასხვა დარგის სახელოვანი მოღვაწენი, ზნეკეთილი, სულიერად დახვეწილნი ყმაწვილები აღუზარდოს.

* * *

გავა ხანი. თანდათან კვლავ შეიცვლება პედაგოგთა თაობები და, განვმეორდები, კვლავ და კვლავ უცვლელი, ანდა სულაც აღმატებული იქნება მასწავლებელთა ცოდნა, გამოცდილება, ენთუზიაზმი, საქმისა და ბავშვების სიყვარული, სახელოვანი ხელოვნების მე-16 სკოლა კვლავ და კვლავ განაგრძობს სახელოვან სვლას ხელოვნების ზეალმტაც, მადლიან გზაზე და კვლავაც ყოველ დღეს დღესასწაულად უქცევს ყმაწვილებს.

**რედაქციისაგან: გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია გულითადად ულოცავს ხელოვნების მე-16 სკოლას, მის ამაგდარ დირექტორს, ქალბატონ *ლია მავზარაშვილს,* მთელ კოლექტივს სახელოვან იუბილეს და კვლავ მრავალ წარმატებას უსურვებს რთულ და აგრერიგად სჭირო შემოქმედებით საქმიანობაში.**

**კონსტანტინე გურგენიძე**

*გამოხმაურება ერთ პუბლიკაციაზე*

# მოდით, ერთად ვიპაექროთ!

**კოლეგამ** და მეგობარმა **ზურაბ ქობალიამ** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ ერთ სტატიაზე მიმითითა, იქნებ გამოეხმაურო, სიამოვნებით მივიღე ეს წინადადება და არც შევმცდარვარ.

მანამდე ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა საუკუნოვანი, სახელოვანი ისტორიის მქონე ამ გაზეთზე. „საქართველოს რესპუბლიკა" სხვადასხვა სახელწოდებით მუდამ იყო პირველი, ლიდერი, პოპულარული ქართულ ბეჭდურ მედეასივრცეში. დღესაც ასეა. რედაქციის მთელი შემადგენლობა: **სპარტაკ ქობულია, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, მამუკა ვაშაკიძე, გია გაბრიჭიძე, კახა ქორიძე** და სხვები ღირსეული, თავდადებული მემკვიდრეები გამოდგნენ სახელოვანი წინამორბედებისა.

კარგა ხანია ამ რედაქციას კომპეტენტურობით, მაღალი კვალიფიკაციით, სიახლეთა ძიებით, ცხოვრების შუაგულში აქტიურობით ვერავინ შეედრება... ყოველივე ამის გამო დიდი მადლობა თქვენ.

კიდევ დიდი მადლობა, კოლეგებო, რომ ფართო ასპარეზი დაუთმეთ ისეთი პროექტების ხორცშესხმას, როგორიცაა დედაუნივერსიტეტის თანამშრომლების **იოვანე აბულაშვილისა** და **ნათელა წერეთლის** სტატია: **„რელიგიისა და კულტურის" სწავლების შესახებ"** („საქ. რესპუბლიკა", № 137, სამშაბათი, 23/08-2013 წ.). წინა ხელისუფლების მოსვლამდე, ეს საქმე, ასე თუ ისე, ფეხზე იდგა. ყველა საჯარო სკოლაში არსებობდა **„რელიგიის კუთხე",** ისწავლებოდა საგანი **„რელიგიის ისტორია".** თქვენს პროექტ-ინიციატივას ორივე ხელით მხარს ვუჭერ, თითქოს ჩემს გულში ისხედით. მინდა შეგეხიდოთ: **ყველა ტვირთს რელიგიას ნუ ავკიდებთ.** სხვა პრობლემაც ბევრია. საჯარო სკოლებიდან განდევნილია აღმზრდელობითი ღონისძიებები, მოსწავლეები მხოლოდ კომპიუტერულ განათლებას ღებულობენ, რომელიც დაცლილია ბუნებრივისაგან. ამიტომაა, რომ წიგნებს არ ეკარებიან და წერა-კითხვის უცოდინარნი რჩებიან. ამის კვალობაზე განდევნილია ეროვნულპატრიოტული სულისკვეთება. სტუდენტი ლათინურად მომეცადინეს ნიშნავს და არა ლექციაზე შევარდნას, მის ჩაშლას და ლექტორის აუდიტორიიდან გამოძევებას.

მაშ, რა ვქნათ? რა ვაკეთოთ? ცხადია, მიზნის მისაღწევად მხოლოდ ფაქტების დაფიქსირება არ კმარა, იგი უთუოდ დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა". საჭიროა მეტი აქტიურობა, ბრძოლა, პრაქტიკული საქმიანობა, როგორ?

მთავრობის მეთაურს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პრეზიდენტს, - ყველას ჰყავს თავისი მრჩეველი. მათთან უნდა ვითანამშრომლოთ, რომ მივაწოდოთ ხელმძღვანელობას რაციონალური წინადადებები.

მაპატიოს მკითხველმა გამოხმაურების პათეტიკით დაწყება და დამთავრება.

**ბორის მიშველაძე,**
საქ. დამს. ჟურნალისტი

# თანადგომა - თანამშრომლობის მარგალიტები



**ბევრჯერ** ვსტუმრობდი ამ სკოლას, წლით წლამდე უკეთესია. მის თავზე ბევრმა პრობლემამ გადაიქუხა: სამწლიანი პანდემია, რომელმაც მსოფლიო შეაზანზარა, მერე - რუსეთ-უკრაინის ომი. აკაკი წერს: „ერთ ჭირსა, კარზე მომდგარსა, სხვაც ბევრი წაეკიდება". თითქოს ეს არ გვყოფნიდაო, ყველაფერ ამას დაერთო სკოლის შენობის რეაბილიტაცია. არ გატყდნენ, არ დაიჩოქეს, ჭირს მიუხტნენ მამაცურად. მათი ძალისხმევა ისევე, როგორც ყოველთვის, მიმართულია მაღალი შედეგებისკენ.

მასწავლებელთა გაზეთი „სახალხო განათლება+" მალე 95 წლისა გახდება. დედაქალაქში სამი, ოთხი სკოლა თუ მეგულება ისეთი, რომელიც ერთგულად, ულალატოდ თანამშრომლობდეს ჩვენთან. არ მალსოვს მხარში დგომა, დახმარება დაგვჭირვებოდეს და თავი აერიდებინოთ. რა თქმა უნდა, ყოველივე ამისთვის ულრმეს მადლობას მოვახსენებთ გამობრძმედილ დირექტორს **ხათუნა ნებიერიძეს**, მის მოადგილეებს **ნინო ბერიძეს, სვეტლანა ალოიანს, რუსუდან გორდელაძეს,** ყველა პედაგოგს და სკოლის მუშაკს.

გამობრძმედილიო, - ვთქვი დირექტორზე. ჭეშმარიტად! თავისი შეგნებული ცხოვრება მან სკოლას შეალია. თუ სუხომლინსკივით ვიტყვით, გული უძღვნა ბავშვებს. შევახსენებ მკითხველს: მეტად ნაყოფიერი იყო მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა თბილისის 130-ე სკოლის დირექტორად. იქ შეძენილ მდიდარ გამოცდილებას ათ წელზე მეტია 179-ე სკოლას ახმარს.

ახლა კი მთავარ საკითხზე გადავიდეთ: „მომა-



პყარით თვალნი თქვენი საჩინონი, ყური თქვენი სასმენელნი და მასპინძელ ექმენით სიტყვათა ჩემთა" (იოანე საბანისძე). ვხელმძღვანელობ სკოლიდან მიღებული ინფორმაციით:

## რა გავაკეთეთ მიმდინარე სასწავლო წელს და როგორ შედეგებს ველოდებით?

თბილისის N179 საჯარო სკოლა აშენებულია 1985 წელს ,ამჟამად სკოლაში 1407 მოსწავლეა .

სკოლის საერთო წარმატებაში ლომის წილი მიუძღვით: ბუღალტერ **- ნათელა აფციაურს,** საინფორმაციო მენეჯერ - **ზოია მათეშვილს**, საქმისმწარმოებელ **- თამარ ნანდოშვილს,** სკოლის ექიმ - **ნათია ბერელაშვილს**, სპეციალურ პედაგოგებს: **თამარ კევლიშვილს, ელისო მელაშვილს.** მნე **- შოთა ჯაგაშვილს**, აიტი - **ლევან მგელაძეს,** დამლაგებლებს: **მაია ჭელიძეს, ქეთო კობაიძეს, სოფიკო კობერიძეს, ნანა ალიხანაშვილს.**

ამჟამად სკოლა ადგილმონაცვლეა. საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს სსიპ ქ.თბილისის 180-ე საჯარო სკოლაში. სრულდება N179 სკოლის დემონტაჟი და ზაფხულში დაიწყება ახალი სკოლის მშენებლობა და სულ მალე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ სკოლაში დავბრუნდებით.

წელს, ჩვენი რთული პირობების მიუხედავად, გაიხსნა ხუთი პირველი კლასი, რომელთა დამრიგებლები არიან: **მარინე მინდიაშვილი, ელენე გოგოლაშვილი, ლიანა სიგუა, ეკა კილასონია, ნინო სახელაშვილი.**

სამეურვეო საბჭო: თავმჯდომარე - **რუსუდან გორდელაძე;** მდივანი - **მარიამ დვალი; რუსუდან გორდელაძე** (პედაგოგი); **მარიამ დვალი** (პედაგოგი); **მთვარისა წიკლაური** (პედაგოგი); **მარიამ ქავთარაძე** (პედაგოგი); **ია ყანდაშვილი** (პედაგოგი); **ნაირა ჩანქსელიანი** (პედაგოგი); **ვიოლეტა ეხვაია** (III საფეხური); **ზეინაბ მიქავა** (მშობელი III საფეხური); **თამარ ფიფია** (მშობელი II საფეხური); **ნათია გოგოჭური** (მშობელი II საფეხური); **მაკა ნიჟარაძე** (მშობელი I საფეხური); **ქეთევან გრძელიშვილი** (მშობელი I საფეხური);

76 პედაგოგიდან 70 სერთიფიცირებულია.

წამყვანი - 9 პედაგოგია: **ვაჟა ორველაშვილი, მაია ბურდული, მარიამ ალადაშვილი, მაკა ჯავახიშვილი, ია ყანდაშვილი, სოფიო ჭარბაძე, თამარ ნანდოშვილი, მაია მაჭარაშვილი, ნინო სახელაშვილი.**

სკოლაში არიან ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომლებმაც მრავალი წარმატებული თაობა აღუზარდეს ქვეყანას. ესენი არიან: **მარინა გონაშვილი; ლიანა ხვთისიაშვილი; მანანა ჭონიაშვილი; ნათელა ჯავახიშვილი; დოდო ჩუბინიძე; ეთერ გონაშვილი; შორენა კობახიძე; მარიამ ტურაშვილი; ვაჟა ორველაშვილი; ლალი ძამიაშვილი; რუსუდან აკობიძე; მარინა ივანაშვილი; თინა სუხაშვილი; ირმა ხატიაშვილი; თინათინ კონსტანტინიდი; ნანა ხატიური; იზოლდა შუხოშვილი; მთვარისა წიკლაური; რუსუდან გორდელაძე; ლია აბაშიძე; დარეჯან სუთიძე; იზა გაბუნია; ლიანა თხინვალელი; მეგი გძელიძე; ნოდარ ხარებაშვილი; ნანი ჯანაშვილი; გულნაზი თაბუკაშვილი; მარინე მინდიაშვილი; ელენე გოგოლაშვილი; ოლღა კვეზერელი.**

სკოლას ჰყავს პედაგოგი-ქალბატონი **მზია ელიაძე**, რომელიც გამოირჩევა პოეტური ნიჭით და წერს ლექსებს. ქალბატონი მზია საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, დიპლომანტი, ი. გოგებაშვილის სახელობის პრემიანტი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია ,,ქალდეა-საქართველოს" აკადემიკოსი, ოქროს დიპლომის მფლობელია. გამოშვებულიც აქვს ლექსების კრებულები. **„ქართული ენის საუფლოში", „ენა ჩემი სამყაროა".**

მასწავლებლის პროფესიული უნარების გამოცდა წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად რვა **(მარიამ დვალი, ირმა ქუფარაშვილი, ოლღა კვეზერელი, მარინა ჭუმბურიძე, ეკა კილასონია, ლიკა ცუხიშვილი, ლანა პაპუნაშვილი, ლელა მუშკოპიშვილი),** ხოლო მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად ერთმა (**მარიამ ქავთარაძე**) პედაგოგმა გადალახა ბარიერი. ვულოცავთ!

ყველა კათედრა თავისი საგნის მეთოდოლოგიაში ჯგუფურ-ინდივიდუალურ და სხვადასხვა პროექტზე მუშაობს. ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და ორიენტირებული არიან ცოდნის ხარისხზე: ქართული ენა და ლიტერატურა - **ია ყანდაშვილი;** მათემატიკა - **მარიამ მათეშვილი**; საზოგადოებრივი მეცნიერებები - **ეკა ფირანიშვილი**; უცხო ენა - **სალომე ვაიტაძე**; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - **ნანა ხატიური**; დაწყებითის კათედრა - **სოფიო ჭარბაძე**; ესთეტიკის კათედრა - **მზია ბოტკოველი**.

შარშან გვყავდა რვა ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კონკურსში, საიდანაც გამარჯვებულები ბრუნდებიან დიპლომებით, სიგელებით.

სკოლის ბიბლიოთეკარია **ზეინარ ჯაჭვლიანი**. ბიბლიოთეკაში არის მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა. მოსწავლეები აქტიურად კითხულობენ მხატვრულ ნაწარმოებებს.

მოსწავლეები ჩართულნი არიან ეთწინნინგ საერთაშორისო კონკურსში,სადაც მონაწილეობენ სხვადასხვა საინტერესო პროექტში.

გამოირჩევიან სხვადასხვა ნიჭით. Iე კლასის მოსწავლე **ელენე გელაშვილმა** (დამრიგებელი - **ნინო სახელაშვილი**), IVა კლასის მოსწავლე დავით ყრუაშვილმა (დამრიგებელი - **მარიამ ალადაშვილი**) საკუთარი ნამუშევრების გამოფენა მოაწყეს სასტუმრო ბილტმორში. **მარიამ** და **ლიკა ბახტაძეები** კი გამოფენაში **„მე მინდა საქართველო მიცნობდეს"** დაჯილდოვდნენ სიგელებით.

II გ კლასელი **საბა არაბული** (დამრიგებელი - **თამარ ნანდოშვილი**) ძიუდოს კლუბ ,,ოლიმპის'' წევრია. მონაწილეობს ძიუდოს საერთაშორისო თუ ეროვნულ შეჯიბრებებში. პატარა ძიუდოისტს 9 მედალი (6 პირველი და 3 მესამე ადგილი) , უამრავი დიპლომი და სერტიფიკატი აქვს მოპოვებული. მან მონაწილეობა მიიღო კვიპროსში გამართულ შეჯიბრებაში და ახლა ემზადება საბერძნეთში გასამგზავრებლად.

IVვ კლასელი **დემეტრე მაჭარაშვილს** (დამრიგებელი



**- მაია ბურდული)** საფეხბურთო კლუბმა **„გრანდი"** გადასაცა საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო.

Xა კლასელი **ლუკა რუბაშვილი** (დამრიგებელი - **თინათინ კონსტანტინიდი**) საქართველოს ნაკრების წევრია კარატეში, ჩემპიონი და მრავალგზის გამარჯვებული.

ამავე კლასის მოსწავლე **ლუკა მურუსიძე** საქართველოს მორაგბეთა ნაკრების წევრია.

VIIIა კლასელი **კესო ნარიმანიძე** (დამრიგებელი - **ნანა ხატიური**) საქართველოს ნაკრების წევრია ფრენბურთში. **გოჩა მარტაშვილი** კი მეხიკოს ცეკვის ფესტივალზე გაიმარჯვა.

VIე კლასელი **ოთარ ნებიერიძე** (დამრიგებელი - **იზოლდა შუხოშვილი**) საფეხბურთო კლუბ ,,ზესტაფონის'' მეკარეა, **თორნიკე გოგალაძე** ახალგაზრდული ნაკრების წევრია, **თათია ვასაძე** და **მარიამ შენგელია** -სუხიშვილების ანსამბლის მოცეკვავეები, **მათე ცარციძე** თბილისის თასის გამარჯვებულია კარატეში. **მარიამ კაიშაური** - ცეკვის ანამბლ **„დიდების"** წევრ-პრიზიორი, ხოლო **ანანო კევლიშვილი** და **ნინო ლონლაძე** - სამხატვრო სკოლის წევრები და სხვადასხვა გამოფენების გამარჯვებულები.

VIIIბ კლასის მოსწავლე **ელენე კურდღელია** (დამრიგებელი - **მაია ახალაია**) 3 ოქროს, 5 ვერცხლის, 3 ბრინჯაოს მედლების მფლობელია ძიუდოს რეგიონალურ ტურებში. **დათა გაბელია** კი - პირველი ადგილის მფლობელი კარატეში, **დიმიტრი მიქაია** გამარჯვებულია რაგბის საქალაქო ტურნირში.

IIIგ კლასელი **ანასტასია წუწუნავა** (დამრიგებელი - **გულნაზ თაბუკაშვილი**) წარმატებით მონაწილეობს კონცერტებზე, სადაც არაჩვეულებრივად უკრავს ფორტეპიანოზე და ჯილდოვდება სიგელებით.

IXგ კლასელი **ნატა მაისურაძე** (დამრიგებელი - **ეთერ გონაშვილი**) ხშირად მართავს გამოფენებს, სადაც ჯილდოვდება სერტიფიკატებით.

VIIა კლასელი **გაბრიელ ტოგონიძე** (დამრიგებელი - **ზოია მათეშვილი**) რაგბის კლუბ ,,ქორების ''წევრია და პირველი ადგილის მფლობელი.

IIIა კლასის მოსწავლე **ანდრია ბალდადაშვილი** (დამრიგებელი - **ხათუნა დვალიშვილი**) უამრავი სიგელისა



და დიპლომის მფლობელია ჭადრაკისა და ცურვის ტურნირებში მონაწილეობისათვის. ამავე კლასის მოსწავლე **ნინი ჯობავა** კი - არაერთი მედლის კარატეს ტურნირებიდან.

XIა კლასელი **გიორგი კუნჭულია** (დამრიგებელი - **შორენა კობახიძე**) წარმატებული ფეხბურთელია გარეჯის დიდ გუნდში და სპორტის სასახლეში „ფუსტალის ლიგა 2 - ლიგა 3" **ლუკა ზაქარიაძე** კი შავი ქამრის პირველი დანის მფლობელი ,,კიო კუშინ კაი კარატეში''.

VIდ კლასელი **მარიამ კურდღელია** (დამრიგებელი - **ირმა ქუფარაშვილი**) ივერიის ღვთისმშობლის ანსამბლ **„ივერიონის"** წევრია, ყოველწლიურად იღებს მონაწ-

გაგრძელება მე-4 გვ.

# თანადგომა - თანამშრომლობის მარგალიტები

მესამე გვერდიდან

ილეობას სხვადასხვა ღონისძიებაში და ჯილდოვდება დიპლომებითა და სიგელებით.

XIბ კლასელი **ბექა დონღვანი** (დამრიგებელი - **ლიანა თხინვალელი**) ძიუდოს საქართველოს მრავალგზის პრიზიორი, ევროპის მე-3 ადგილის მფლობელია, **ნინო კოჭლამაზაშვილი** კი - ქართული ცეკვების ანსამბლის **„აბჯარი"** ბულგარეთში გამარჯვებული. **სოფიო ჭუმბურიძე** - ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი **„ერთსულოვნება"**, მრავალი სიგელის მფლობელი .**ნუნუნავა თეკლე** - ქართული ცეკვების ანსამბლი **„დიდება"** წევრი და მრავალი სიგელის მფლობელი.

VIIდ კლასელი ნიკა ხერგიანი (დამრიგებელი - დოდო ჩუბინიძე) ძიუდოს სკოლის **„ოლიმპუსი"** მონაწილეა, მიღებული აქვს მარნეულის, გურჯაანისა და თბილისის შიდა ჩემპიონატზე 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი. **ცოტნე მამისაშვილი** - თეატრალური სკოლა-სტუდია ,,ბერიკების"მსახიობი,ბათუმის ფესტივალის პირველი ადგილის გამარჯვებულია.

V დ კლასელი **რეზი მარტყოფლიშვილი** (დამრიგებელი - **ანა ქვრივიშვილი**) მძლეოსანი და პრიზის მფლობელია. **მათე გელაშვილი** - რაგბისტი, ტურნირში გამარჯვებული, ორი მედლის მფლობელი. **ნუცა ელიაძე** - უამრავი სერთიფიკატის მფლობელია ხატვის კონკურსებში. **ანა კახბერიძე** - ტანმოვარჯიშე. გაიმარჯვა თბილისის პირველობაზე. აქვს ოქროს მედალი და დიპლომი. **ბეჟან ცერცვაძე** - ძიუდოისტი, ტურნირზე მესამე ადგილის მფლობელი. **ლიზი ჭიხინაშვილი** - ტანმოვარჯიშე, ეროვნული ოლიმპიადის გამარჯვებული. ოქროს მედლის, დიპლომის და თასის მფლობელია.

ამავე კლასის მოსწავლე **ანა კახბერიძე** კი პირველი ადგილის მფლობელი ტანვარჯიშში.

1-ა კლასელი **ელენე კახბერიძე** (დამრიგებელი - **მარინე მინდიაშვილი**)-პირველი ადგილის მფლობელია ტანვარჯიშში.

IX ა კლასელი **სოფია ოგანესიანი** (დამრიგებელი - **ეკა კალაიჯიშვილი**) საქართველოს ცეკვების ასოციაცია CDSA I და II ადგილის მფლობელია.

ამავე კალსელი **ირაკლი გახუტელაშვილი** კლუბ ,,ბერმუდის'' წევრი და 3 პირველი ადგილის, 2 -მეორე და 4 მესამე ადგილის მედლის მფლობელია.

V ვ კლასელი მოსწავლეები **მარაიამ კაჭარავა** და **ლუკა მასლენიკოვი** (დამრიგებელი - **ეკა ფირანიშვილი**) ცეკვის ანსამბლ **„ფესვების"**, **ირაკლი ბრეგვაძე**, ანსამბლ **„დიდებისა"** და ფეხბურთის გუნდ **„გრანდის"** წევრი, **ბარბარე ბარამიძე** - ვოკალის, **ნინი რაზმაძე**, გაბრიელ **ხინთიბიძე** - ხალხური ფოლკლორის გუნდი **„ფშავრობის"** წევრები არიან, რომლებიც მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებასა და ფესტივალზე და ჯილდოვდებიან სიგელებით, დიპლომებითა და მედლებით.

VII დ კლასელი **თამარ ხარატიშვილმა** (დამრიგებელი - **ია ყანდაშვილი**) საცურაო აუზ ,,ლაგუნას '' ზურგზე ცურვის შეჯიბრში მეორე ადგილი მოიპოვა.



VI ვ კლასელი **დემეტრე გაროშვილი** (დამრიგებელი - **მანანა ჭონიაშვილი**) **რამაზ შენგელიას** თასი 2022 მე-2 ადგილის მფლობელია. ამავე კლასის მოსწავლე **დემე გაროშვილი** კლუბ ,,გრანდის'' მიერ დაჯილდოვებულია სიგელით. **ბარბარე შუბითიძე** გამოფენა **,,მე მინდა საქართველო მიცნობდეს''**დაჯილდოვებულია სიგელით.

VI თ კლასელი **რატი ფოლადიშვილს** (დამრიგებელი - **ლიკა ცუხიშვილი**) მიღებული აქვს დიპლომი რესპუბლიკურ ტურნირში კიკბოქსინგში.

VI ზ კლასელი **თამთა ჯუჯუშვილი** (დამრიგებელი - **ლანა პაპუნაშვილი**) ცეკვის ფესტივალზე მონაწილეობისათვის ლაურეატის წოდებით დაჯილდოვდა.

XII ა კლასელი **გვანცა არჩვაძე** (დამრიგებელი - **მარიამ მათეშვილი**) საქართველოს თასის მესამე ეტაპის და საქართველოს ჩემპიონატის პირველი ადგილის მფლობელია მშვილდოსნობაში.

II ვ კლასელი **ნიკოლოზ კაპანაძე** (დამრიგებელი - **ლელა მუშკოპიშვილი**) კლუბი ,,ჯორჯის''წევრი და ბატუტზე ხტომაში 1-ელი და მე-2 ადგილის მფლობელია.

IV ე კლასელი **ნინო ელისაშვილი** (დამრიგებელი - **მზია ელიაძე** ) ხელოვნების სკოლის მოსწავლე და არაერთი ლაურეატის, დიპლომისა და სერტიფიკატის მფლობელია. **საბა ნიქარიშვილი** კი არაერთი სიგელის, დიპლომის მფლობელია ხატვის და ცეკვისა კონკურსში ხედავ? სპორტს და ხელოვნებას მართლაც ლელო გაუტანია.

მივესალმებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალ ინიციატივას - სკოლებში საქართველოს ისტორიის ცალკე საგნად შესწავლას. სასურველია მოსწავლეები მსოფლიოს ისტორიასთან ერთად საქართველოს ისტორიას გაეცნენ, რათა შეძლონ მსოფლიო მოვლენები/პროცესები შეისწავლონ და დაუკავშირონ საქართველოს ისტორიის საკითხებს.

ახალგაზრდებს შეეძლებათ საშუალო საფეხურზე უწყვეტად შეისწავლონ ჩვენი ქვეყნის ისტორია.

კიდევ ბევრია სათქმელი, თავმოსაწონებელი, მაგრამ მთავარია, სასწავლო წლის დასრულება მაღალი შედეგებით. უთუოდ ასე იქნება. ასეა ეს!

**ჯანმრთელობა, ახალ-ახალი მიღწევები თქვენ, 179-ე სკოლელებო!**

**ბორის მიშველაძე,**
საქ. დამს ჟურნალისტი

# მერი აფხაზავა



**მერი აფხაზავა** განწყობის პოეტია. განცდა-ემოციებით იბადება მისი ლექსები. ტატო ბარათაშვილივით თუ ვიტყვით: „როს მჭვუნვარება შემოესევის, ლექსისკენ ილტვის განსაქარვებლად".

## ღმერთის სადიდებელს ვმღერი

დილა გათენდა მაისის,
მზიანი და მშვენიერი...
კიდევ ერთი წელიწადი -
ჩემი მრავალჟამიერი!

ჩემს სამშობლოს ვეფერები,
ღმერთის სადიდებელს ვმღერი,
რაც კი რამე გამაჩნია,
მისგან არის ყველაფერი!

ბევრი რამე გამაჩნია:
შვილები და შვილთაშვილიც,
სუყველაფერს მირჩევნია
ჩემი სამი შვილიშვილი!

არაფერი არის წლები,
თუ ანთია გულში ცეცხლი,
ამაყი ვარ: არ მხიბლავდა
სხვისი ოქრო, სხვისი ვერცხლი.

ვემსახურე ჩემს ქვეყანას -
მის თაობებს წლები ვზრდიდი,
შევაყვარე სამშობლო და
უფროსების კრძალვა, რიდი...

რომ შეეძლოთ ჭირთა თმენა,
არ დაინდონ მტერი ფლიდი,
მოძმეს მხარში ამოუდგნენ
სიყვარულით დიდზე დიდით.

ფარად ექცნენ „დედაენას",
ორგულს დასცენ შიშის ზარი,
საქართველოს მთა და მდელო
იყოს მათი საფიცარი!

დავბერდი და არ ვჩერდები,
დავბერდი და მაინც ვმღერი,
მიყვარს უწმინდესის ლოცვა,
მიხარია ყველაფერი!

მეგობრების მოფერება
კვლავ მითრთოლებს გულის ფიცარს,
დავბერდი და მაინც ვმღერი!
დავბერდი და მაინც მიყვარს!

## გაზაფხულის წვიმაში

წვიმაა და პაემანზე გიცდი,
ნაადრევად მომივიდა მოსვლა,
ხეებს უკვე დასკდომიათ კვირტი,
შენმა მსგავსმა ჩამიარა გვერდით,
გამაჟრჟოლა უცბად, დავაკვირდი.

ხეებს უკვე დასკდომიათ კვირტი...
ნაადრევი გაზაფხულის დღეა,
ხესთან ვდგავარ, წვიმს და
შენზე ვფიქრობ,
გაზაფხული რომ მოსულა,
მე პირველად დღეს შევნიშნე
თითქოს...

ნაადრევად მომივიდა მოსვლა,
გელოდე და არ მოხვედი მაინც.
მე იმ ხესთან დამრჩა გული მთელი,
შენს მაგივრად გამაცილა წვიმამ
და თვალები დამიტოვა სველი.

**P. S.** ამ ტექსტზე კომპოზიტორმა გიორგი ცაბაძემ შექმნა ლამაზი სიმღერა, რომელიც „რერო"-ს შესრულებით დღესაც ხშირად ტრიალებს სოციალურ ქსელში.

# იუმორისტული ნუთშესვენება

## რეპორტაჟი ჭადრაკის სასახლის ბაღიდან

### მიკროპოემა

მშვენიერი დილა არის, არც კვატები, არც ბატები,
აქ კი პენსიონერების მიდის მწვავე დებატები.
ბლავის ერთი დიდი კაცი, თურმე არის იგი ნაცი,
გამოლანძღა ბევრი ქოცი, ოცი იყო, თუ ორმოცი.

- ჩამოვაგდოთ ის კაციო, ის ქოცების სარდალიო,
იგი, ვისაც ჩვენს მტრობაში არავინ ჰყავს ბადალიო.
შევქმნათ ახალი პარტია, მოვაწყოთ დიდი აქცია.
იმ აქციას კი, ნამდვილად, ყველამ ზურგი აქცია.

ილუზიების წვეროდან ამ მოციქულმა სატანის
სულ რომ აგვიკლო ყაყანით, თვით მოადინა ტყაპანი,
ახლა კი ბოლმამორეულს, მწარე რევანში სწყურია,
სხვის აქციებზე წკავწკავებს, როგორც ნაცემი მურია.

### შერიგება

თუ კი გინდა შერიგება და ძმობის გასდო ხიდი,
„ბოდიში" დამცირებაა? ვაჟკაცობა არის დიდი.
უკან დახევა სიბრძნეა, მეფისშვილს წვრთნიდა ლეონი,
უკანდახევით რუსეთმა დაბრიდა ნაპოლეონი.

### ჭკუით, ქართველებო!

ნაროუშვილი ფრიდონი, გეცოდინებათ, ვინ არი:
„არწივი ისე არ დავარდება, მტრების რომ გახდეს დასაცინი",
რუსებთან კინკლაობაში ჭკუით იყავი, ბენია!
ტესტი ხომ ზემოთ გითხარი, ქვეტექსტი იყოს შენია.
ალბათ შენც გემახსოვრება, ეს ანდაზა უთქვამს ძველსა:
„სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესა".

**მოსე მწერალი**

# მთვარისა კერესელიძე

**სულ** ახლახან ზეციურ ნათელს შეუერთდა გამოჩენილი პოეტი, ჟურნალისტი, მოღვაწე და სიამაყე ერისა **მთვარისა კერესელიძე**. წვეთი სისხლი არ იყო მასში არაპოეტის, არაპატრიოტის. იგი იყო „გულითა გაუტეხელი, მოულალავი მკლავითა", „გულზე ესვენა ხატადა ენა მთისა და ბარისა"; ხმალამოწვდილი იბრძოდა სიმართლისა და სიკეთის დამკვიდრებისათვის. შემთხვევით არ მიხსენებია ვაჟას სიტყვები. განსაკუთრებით უყვარდა პოეზიის „მთის არწივი". ამიტომაც დაარქვა შვილს ვაჟას ერთ-ერთი ლექსის გმირის სახელი – **ბაკური**. იწვოდა ლექსით, ცხოვრობდა ლექსით, ანათებდა ლექსით,. მის ლექსებზე კომპოზიტორები სიმღერებს ქმნიდნენ. იყო ბრწყინვალე დეკლამატორი, ტკბილმოუბარი. აწყობდა მკითხველებთან შეხვედრებს ფილარმონიაში. ზუსტად მიესადაგება მის ელვარებას ვერიკო ანჯაფარიძეზე ნათქვამი ლადო ასათიანის სტრიქონები: „მიხარის, როცა სცენაზე გიმზერ, ანათებ, როგორც ზღაპრული დალი და როგორც ნისლი უფსკრულის პირზე ირხევა შენი ლამაზი ტანი".

**მთვარისა კერესელიძეს** გამოცემული აქვს ლიტერატურული გაზეთის სპეციალური ნომრები: გოგლა ლეონიძის, იოსებ ნონეშვილის, შოთა ნიშნიანიძის, ანა კალანდაძის და სხვა გამოჩენილი პოეტების შემოქმედებაზე.

სამწუხაროდ, საწერ მაგიდაზე დარჩა ლექსების წყება, რომელთა გამოქვეყნება სიცოცხლეში ვერ მოასწრო. პოეტის ქალიშვილმა **თამთა ბერიაშვილმა** შეარჩია ზოგიერთი მათგანი და ჩვენს რედაქციას მოაწოდა, რომელთაც დიდი სიამოვნებით წარვუდგენთ ჩვენს ერთგულ მკითხველთ.

**რედაქტორი**

## მთვარისა კერესელიძე

### ახალი ლექსები

* * *

**მოდის** გამოცდა დიდებულ დღეთა,
ნათლად გამოჩნდა ნახტომი შველის.
ისევ ახალი კრწანისი დგება,
ისევ ახალი დიდგორი გველის!

...და შრიალია შორეულ ხეთა,
ამღვრეულია კვლავ საკალმახე,
თითქოს ჯარები შექრილან მცხეთას,
რა გასაოცარს ვხედავ სანახებს...

ალარც კი მახსოვს, ეს იყო როდის,
ფიქრში ვიხსენებ სიზმრებს ახდენილს.
ისევ ახალი კრწანისი მოდის,
კვლავ დიდგორი გვაქვს გადასახდელი!

* * *

**ვილას** არ უნდა, რომ გადაგვთელოს,
მაგრამ სიცოცხლე შენით გუგუნებს.
დიდება შენდა, მზეო, ნათელო,
შენით ძლიერობს ეს საუკუნე
და საქართველო!

* * *

**ძუ** მგელივით ყმუის ჩემი საქართველო,
მაგრამ ჯიში, ჩვენი მამა-პაპანი
მოგვძახიან, - ჯერ წინ არის სანატრელი,
ჯერ წინ არის საოცნებო ზღაპარი!
მოგვიმრავლდა,სადარდელი მოგვიმრავლდა,
თუმცა არა, ალარ ვკარგავთ იმედებს,
ეს ქვეყანა ისეც დედინაცვალს ჰგავდა,
ბედი ჩვენთვის კარგს რას გამოიმეტებს?
ვინ არ მოდის ახლოდან თუ შორეთიდან,
ყველას ჩვენი კარ-მიდამო მოუნდა!
მივედებით, მოვედებით პოეტები,
რომ გავწმინდოთ ეს ედემი, დრო უნდა!
მაინც, სადღაც გვაქვს რაღაცის იმედები,
მაინც სადღაც ცოცხლობს მცირე მიზანი.
ვხედავთ, რომ დღეს გასაწყვეტად გვიმეტებენ,
არსაით ხსნა, არც იმედი ხსნისანი.
ვით გავუძლოთ ამდენ მტრობას,ასეთ ყოფას?
არ ილევი! რა გამოგლევს, სადარდელო?
ან რა ვუთხრათ ან წარსულს და ანდა მყობადს?
ძუ მგელივით ყმუის ჩემი საქართველო!



## როდემდე

**როდემდე** ვწერო ლექსები ,
ვის წავაკითხო თავად?
ეს ჟამიც მალე გაივლის,
ყველა თავის გზით წავა.

ფასი არა აქვს არაფერს,
თასი არა ღირს ლარად,
დღევანდელ საქართველოში
კაცი არა ღირს ჩალად!

ჩალის ფასი აქვს ღირსებას,
მე გავიძახი, - კმარა!
ვხედავ, ფიალა ივსება
მოთმინების-და კვალად,
თუკი იქნება ღვთის ნება,
დიდგორის ველზე გავალთ!

გამოჩნდებიან ლომებიც,
ბოკვრები სადიდგორენი,
ისევ ომების მდომები.
ნინ დაუდგება [illegible]

დღეს ალარ ფ[illegible]
ზრდილობას ა[illegible]
კარგა ხანია, დ[illegible]
სულ სხვა ცხო[illegible]

როდემდე ვწერ[illegible]
როდემდე ვიყ[illegible]
როდემდე უნდ[illegible]
დაყირავებულ [illegible]
ან მახინჯ ყოფ[illegible]
როდის გადავა[illegible]

ყრია მარტივი ცოდვები
დიდ ცოდვილიან გზაზე;
ტყუილებით და ბოდვებით
ერს გზა გადაურაზეს!
როდემდე უნდა ვუცქირო
მლიქვნელებსა და ფარსებს?

მაინც როდემდე ვითმინოთ,
დგას სურვილების გროვა...
გვეუბნებიან, - კვლავ ნინო
ჯვრით და სანთლებით მოვა!

ეს არეული ცხოვრება
ისევ თავის გზით წავა,
როდემდე გვემახსოვრება
ჩამოლვენთილი ლავა?

ეპოტინები როცა ხავსს,
რით გინდა მოილხინო,
ნამდვილის ნაცვლად თუ გიდგას
წყალგარეული ღვინო?

წყალგარეული ცხოვრება
დგას შუაღამის მსგავსი,
გარს გვახვევია მსტოვრებად
ათასი ჯურის თარსი...

როდემდე ვწერო ლექსები,
ვის წავაკითხო მერე,
სიო თუ ეალერსება
იმედდაკარგულ ხელებს?

ხელებზე ბორკილს ადებენ
ბედაურებს და რაშებს;
გადიან წელიწადები,
დრო რას გადააფასებს?

და გვიბნელებენ გონებას,
ბრაზი და ბოლმა მავსებს, -
როდემდე ვიყოთ მონებად
და ვწუწუნებდეთ ასე?

როდემდე ვლოცო ან მთები,
ან ეს პატარა ღელე,
როდემდე ვუნთო სანთლები
ბორკილდადებულ ხელებს?

საით ვეძებო ჩვენი ცა,
ანდა ხატულა ბარი?
ან მამალმერთი სად არი,
ხალხის დარაჯად მდგარი?

გადაგვეკიდა რაღა ჩვენ,
სხვაგან არ იყო ზღვა?
მაგრამ ამ ძაღლის დანარჩენს
რას გაატანდა სხვა!

მისი ჰგონია ყოველი,
ოდეს გვქონია რაც კი.
ანი არაფერს მოველი
და დრო, ყოველთა მკაცრი

მოვა, ღაღადისს აღაჩენს
ან იმარტვილებს, ან კიდევ,
და საუკუნის განაჩენს
ორდენებივით დაგვკიდებს!

შემომაშველეთ ჯაჭვის პერანგი!

იქნებ ტყუილად გიხმობ, მამაო,
იქნებ ამაოდ ვეძებ მაშველებს?
თუ თავგანწირვაც არის ამაო,
აღარ ყოფილა ჩვენი საშველი!

ბორკილდადებულ ხელით შიშველით
კვლავ შენ გეძახი გულის ძგერამდი.
ღმერთო, გვიშველე! ღმერთო, გვიშველე!
შემოგვაშველე ჯაჭვის პერანგი!

დაპატარავდა მიწა ქართული,
ოდესღაც ვრცელი, მხრებგამართული!

თუ ბედაურმა ლაგამი დახრა,
ბედს ასე უხმოდ როგორ დავნებდით?
ყოველი მხრიდან გვიტევენ ახლა
თემურ ლენგნი და ჩინგიზ ხანები.

ალარ ჭირდება მოსვლა შორიდან,
თავის სასურველს უკრავს არიას,
რადგან მომრავლდა ჩვენში მძორი და
ჩინგიზ ხანებიც აქვე არიან.

ახლა მტრისათვის კარგი დარია,
ახლა მოყვარეც იწყებს მისნობას.
თუმც ყველაფერი არივ-დარია,
სულ ელანდება მარადისობა.

ეს ყველაფერი იმის ბრალია,
ტახტზე რომ გვესვა მტერი ფარული.
მტრები მამულში ისევ არიან
მოყვრის ნიღბებით შემოპარული!

უნდათ წაიღონ ჩვენი მამული,
ეს მიწიერი ციცქნა სამოთხე,
წინაპრის სისხლით გადანამული
და მოუხმობენ ქარებს ამომთხრელს.

დავრჩებით თითზე ჩამოსათვლელი,
ვის შეანუხებს სიმცირის გრძნობა?
უტიფრად იტყვის, - ვარო ქართველი!
და დაიჩემებს ჩვენს ქართველობას.

თუკი უტიფრად გზები გათელეს,
შემოგვისახლდნენ თუ უსასრულოდ,
ალარ დარჩება ალარც ქართველი,
და არც ფაქიზი ქართული სული!

და ეს იქნება საქართველოს
გზის დასასრული?!

სინდის-ნამუსი უცხო ხილია,
მათთვის ყოველი წარხოცილია,
ამაოდ რეკავს ზარიც სიონის...
ან იქნებ ესეც ცის ძახილია,
გვიხმობს ბებერი კავკასიონი!

გვეძალებიან უცხო სიონი
და ძველებურად მოქუხს რიონი.

მაგრამ არისხებს ზარებს ილია
და მამალმერთებს ქართლისად უხმობს.
თუ საქართველო დაჩოქილია
უფაროდ, უხმლოდ...

და თუ ქვეყანა ამოთხრილია,
ამაოდ რეკავს ზარი სიონის?
[illegible]

[illegible]
ეს დღე - სამყაროს დასასრულია!
მტერს ასე უხმოდ როგორ ჩავბარდით?
თუ საქართველო გაყიდულია
ნიკოფსიიდან დარუბანდამდის?!

ყველა თურქი და ყველა სრულიად,
ვინც ქართველისთვის უცხო რჯულია,
დღეს შეტევაზე გადმოსულია!

მტერი მოყვრულად შემოგვესია
და ჩვენს ეზოში სახლებს იშენებს,
ისევ მდუმარედ დგას ეკლესია,
ისევ ქართველი რჩება შიშველი!

დადის ყველა ცრუ და გაიძვერა
ყალბი პროფილით, ყალბი იერით.
თუმცა წავიდა ბებერი მელა,
ქართველი დღემდე რჩება მშიერი!

ქვეყანას მტრები შემოესია
და თუ უფალმა ალარ შერისხა,
შენ გაკისრია დიდი მისია
ერის და ქვეყნის გადარჩენისა!

ნომრის სტუმარია 92-ე საჯარო სკოლა

# იუბილარი დირექტორის დიდებული საქმეები

**ბედნიერია** სკოლა, რომელსაც ასეთი ხელმძღვანელი უძღვება. ბედნიერია დირექტორი, რომელსაც ასეთი ძლიერი პედაგოგები ჰყავს.

წერილის ადრესატია თბილისის 92-ე საჯარო სკოლის თავკაცი **მიხეილ ჩიქოვანი**. მის ბიოგრაფიას ამშვენებს ციფრი 50. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი: ჩვენი გაზეთიც იუბილარი გახლავთ, რამდენიმე თვეში 95 წლის გახდება. ე. ი. თითქმის ორჯერ უფროსი ბატონ მიშაზე.

თბილისში 215-ზე მეტი საჯარო სკოლაა. აქედან თითებზე ჩამოსათვლელად თუ მეგულება მეცნიერი დირექტორი. მაგრამ დოქტორობა, პროფესორობა, არ არის კარგი პედაგოგობის საზომი. ყველა საგანს თავისი სპეციფიკა აქვს.

**ევგენი ხარაძე** აკადემიკოსი იყო. ვთხოვეთ, სკოლის მასწავლებელთათვის პოპულარული ენით სტატია დაეწერა ზეციურ მოვლენებზე. წერილი ისე იყო სამეცნიერო სტილით და უცხოური ტერმინოლოგიით დახუნძლული, სპეციალისტების გარდა ვერავინ გაიგებდა.

ასე რომ, დირექტორი, პირველ რიგში, მოწოდებით უნდა იყოს მასწავლებელი, იტაცებდეს ეს საქმე. მარტო მიშველი ადმინისტრირება საქმეს ვერ შველის. გასულ საუკუნეში სკოლის დირექტორს ნომერ პირველ მასწავლებელს ეძახდნენ.

ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს ჩვენი იუბილარი. ისიც უნდა დავამატოთ, რომ პედაგოგთა ოჯახშია აღზრდილი. დედა ამჟამადაც წამყვანი მასწავლებელია 139-ე სკოლისა, სადაც ამ სიტყვის ავტორმა ათი წელი იმუშავა.

თეორიულ მსჯელობას ყოველთვის სჯობს კონკრეტიკა. სკოლიდან მიღებული ინფორმაციით ვიწყებთ საუბარს. აქ მიმდინარე სასწავლო წელს გაკეთებულ და გასაკეთებელ საქმეებზე.

* * *

წარაქიანი შემოდგომა გვექნება

**„ჩვენი** სკოლის საზოგადოება შედგება: დირექციის 3 წევრის, 50 პედაგოგის , 870 მოსწავლის და 9 სკოლის პერსონალისგან.

აქ ყველა პედაგოგს აქვს სტატუსი, მათ შორის 1 წამყვანი მასწავლებელია, ხოლო 8 პედაგოგი ელოდება აიმაღლოს სტატუსი, გახდეს წამყვანი ან მენტორი მასწავლებელი. ამჟამად, სკოლა მუშაობს პროექტზე: **„ყველაფერი უსაფრთხოებისთვის"**. სადაც დაკავებულია სრულიად სასკოლო საზოგადოება.

ჩვენი პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ კონფერენციებში, მხარდამჭერ ექსპერტებთან ერთად.

წელს სკოლაში გვყავს 103 პირველკლასელი, ოთხი პირველი კლასი. პირველკლასელთა დამრიგებლები არიან: **ნათია გოგიტაშვილი, ციური მიქიაშვილი, ირმა წიკლაური და სალომე ბანძელაძე.**

გასულ წელს სკოლას ჰყავდა 8 ოქროს მედალოსანი მოსწავლე **(მარიამ ჯაჭვაძე, ქეთევან კაციტაძე, ანა ოსიპოვი, ლიზი ქოიავა, მათე ბერიძე, ერეკლე ბერიძე, ჯამბული ჩხიკვაძე.)** რომლებმაც სხვადასხვა უნივერსიტეტებში ღირსეულად გააგრძელეს სწავლა. **ანა ოსიპოვი** კი სრული დაფინანსებით მოხვდა აშშ-ში, ჩრდილოეთ კაროლინაში, ქალაქ როლის უნივერსიტეტში.



ასევე, ვამაყობთ ჩვენი სკოლის მე-10 კლასელი გოგონას, **თამარ თათელაძის** წარმატებით, რომელიც ფლექსის პროგრამით გააგრძელებს სწავლას და მე-11 კლასს გაივლის აშშ-ში.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ მე-4 კლასელი გოგონა, **კესარია კუჭუხიძე**, ყველა სასკოლო ოლიმპიადაში „კინგსი" იქნება თუ „ევერესტი", ქართულ ენასა თუ მათემატიკაში, უმაღლესი შეფასებებით იმარჯვებს.

2022-2023 წელი სიახლეებით დავიწყეთ. მიხეილ ჩხენკელის ინიციატივით სკოლაში დამოუკიდებელ საგნად შემოვიდა **„საქართველოს ისტორია"**, რაც ძალიან გვახარებს. შედეგად ჩვენი ბავშვები საშუალო საფეხურზე საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე უწყვეტად და სიღრმისეულად შეისწავლიან.

ასევე ,ჭადრაკი პირველი კლასიდან სავალდებულო გახდა, თუმცა ვამაყობთ, რომ ჩვენს სკოლაში ჭადრაკი 2012 წლიდან წარმატებით ისწავლება. ტარდება ტურნირები და მოსწავლეები სიხარულით ეუფლებიან ჭადრაკის ხელოვნებას.

სკოლაში მიმდინარეობს საპილოტე პროექტი „თავდაცვა და უსაფრთხოება". საგანს ხელმძღვანელობს თადარიგის მაიორი, **ზაზა ძამუკაშვილი**. მოსწავლეები ინტერესით ეკიდებიან ახალ საგანს და ხშირად სტუმრობენ საქართველოს თავდაცვის ძალებს, ვაზიანის მეოთხე ქვეით ბრიგადას.



კიდევ ბევრი რამ სასიკეთო კეთდება, მაგრამ არ გვინდა „თავის ქებად გამოგვივიდეს."

ამ, თითქოსდა მშრალი სტატისტიკის უკან დგას დაძაბული, შრომატევადი მუშაობა სხვადსხვა მიმართულებით.

ნათქვამია: წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. სკოლის შემოდგომა კი ივნისია, რომელიც არც ისე შორსაა.

წარმატებებს გისურვებთ, 92-ე სკოლელებო!

**ბორის მიშველაძე,**
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

216-ე ბაგა-ბაღი

# პატარების კეთილდღეობაზე ზრუნავენ



**„თამაშ-თამაშით ვსწავლობთ სამყაროს"** - ასეთი ლოგო ამშვენებს 216-ე ბაგა-ბაღს, რომელიც გლდანში მდებარეობს. ის მართლაც, სანიმუშო და გამორჩეული საბავშვო დაწესებულებაა. აქ აღსაზრდელებისთვის ყველანაირი კომფორტია შექმნილი და მათ კეთილდღეობაზე ზრუნავენ. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელშეწყობით, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა და ბაღი აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით.

216-ე ბაგა-ბაღს ხელმძღვანელობს შესანიშნავი მენეჯერი **ანუკი კიწმარიშვილი**, რომლის დიდი ძალისხმევით და თავდაუზოგავი შრომით, პატარების აღზრდა-განათლება შესანიშნავ გარემოში უწევთ. დირექტორს მხარში უდგანან პროფესიონალთა მულტიდისციპლინარული გუნდი და აღმზრდელ-პედაგოგები. აქ დაცულია უსაფრთხოების წესები და დიდი ყურადღება ექცევა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

**ანუკი კიწმარიშვილი:** ჩვენთან, სასწავლო წლის დასაწყისში, პატარების მისაღებად, სათანადოდ მომზადდა ყველა ასაკობრივი სააღმზრდელო ჯგუფი. თითოეული ჯგუფის სივრცეში განთავსდა მინიშნებები, რომლის საშუალებითაც აღსაზრდელები მარტივად ხვდებიან რომელი ცენტრია. ისინი, თავიანთი სურვილით ირჩევენ სათამაშო არეალს. ცენტრებში პატარებს დახვდათ უამრავი საჭირო და საინტერესო მასალა. მაგალითად: ხელოვნების ცენტრში - ფერადი ფანქრები, გუაშები, პლასტელინი, ფერადი და სახატავი ქაღალდები, მაკრატელი, წებო. დრამატულ ცენტრში კი, - მანქანები, ტანსაცმელი თოჯინებისთვის, ავეჯი, სამზარეულო და საექიმო ნაკრებები... სხვა უამრავი ნივთი. სათითაოდ ვერ ჩამოვყვებით ყველა შეძენილ მასალათა ჩამონათვალს, რომლის მოგვარება ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს თანადგომით მოვახერხეთ. ბაღში წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის''** პროგრამა და გამოსაშვები ჯგუფის აღსაზრდელები სკოლისთვის მომზადებულები არიან. საბავშვო ბაღში სულ 18 ჯგუფია.



აღსაზრდელებისთვის სისტემატურად იმართება სხვადასხვა აქტივობა, რომელიც სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. გამოსაშვებ ჯგუფებში კი, პროგრამა **„თამაში"**, განსაკუთრებით საინტერესოა. მაგალითად, თემები ბიომრავალფეროვნების პროგრამიდან. ამ უკანასკნელს, ახალი სასწავლო წლიდან ემატება თემა **„კლიმატი"** და პროგრამა ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის. მიმდინარე პროექტებში კი, **„დედამიწის დღე", „დედაენის დღე", „წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე"**, აქტიურადაა ჩართული მზაობის ჯგუფის აღსაზრდელები და მათი აღმზრდელები. მათი ნამუშევრები და თვალსაჩინოებები წარმოდგენილია შენობის ფოიეში. ასევე, საინტერესო და შთაბეჭდილებებით დატვირთული იყო გამოფენა მშობლებისთვის.



216-ე ბაგა-ბაღი მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. აქ ერთ მუშტად შეკრული გუნდია და მეგობრული კოლექტივია, საქმისადმი თავდადებულები და მოტივირებულები არიან , რათა პატარებს დედობრივი მზრუნველობა არ მოაკლონ. დირექტორის დამსახურებისა და თითოეული თანამშრომლის თავდაუზოგავი შრომის შედეგია ის, რომ ბაგა-ბაღი წარმატებულია.

სულ მალე, პირველ ივნისს ბაღში აღინიშნება ბავშვთა დაცვის დღე, რისთვისაც აღსაზრდელები საგულდაგულოდ ემზადებიან. ბაგა-ბაღის ეზოში გაიმართება სხვადასხვა აქტივობა, იქნება სახალისო თამაშები, უამრავი ღიმილი და ბედნიერი წუთები, რომელიც პატარებს სამუდამოდ დაამახსოვრდებათ. წარმატებულ მომავალს და მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრებას ვუსურვებთ 216-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს და მთელ შემოქმედებით გუნდს.

**ანანო სამელია**

მე-100 ბაგა-ბაღი

# მზადება სასწავლო წლის დასასრულისათვის



თბილისის **მე-100** საბავშვო ბაგა-ბაღში (დირექტორი **მეგი მარლანია**) სწორად და ხარისხიანად წარმართული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განსაზღვრავს მის მაღალ მოთხოვნადობას და მადლიერ აღსაზრდელთა თუ მშობელთა რიცხვს. პროფესიონალ კოლექტივს საკუთარი წვლილი შეაქვს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების ძირითადი პრინციპების დანერგვაში.

ბაღში აქტიურად მუშაობს **მულტიდისციპლინარული გუნდი.** აკვირდებიან და აფასებენ ბავშვთა განვითარებას, მართავენ შეხვედრებს და განიხილავენ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს. გუნდის შემადგენლობაში შედიან ბაღის ფსიქოლოგები – **ლიანა ქერდიყოშვილი, ბელა ჯოხაძე**, სპეციალური პედაგოგები – **ნათია ქარჩავა, მარინე ქარჩავა, თინათინ ლაბაძე, ქეთევან ცინცაძე**, ლოგოპედები – **ეკატერინე სამუშია, მაია კურტანიძე-მაჭავარიანი, სოფიო ოქრომელიძე**, აღმზრდელები, მშობლები და საჭიროებიდან გამომდინარე სხვა სპეციალისტები; საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორ/მეთოდისტები – **ნანული ჟღენტი, ნატალია მესტიაშვილი; ზალინა ძუკაევა** (საგ.პროგ. კოორდ. თანაშემწე);

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ფიზიკური გარემო რომ პატარებისთვის საინტერესოდ უნდა იყოს მოწყობილი, ეს კოლექტივის თითოეულმა წევრმა კარგად იცის და ამ საქმეში საკუთარი წვლილი შეაქვთ: დირექტორის მოადგილე **თამარ ქითაშვილს**, საქმისმწარმოებლებს – **ელისო ბოჭორიძეს, ეკატერინე ბასარიას, მირანდა გოგიბედაშვილს;** ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორებს – **თამარ გოგმეჩაძესა** და **მარიამ ქავთარაძეს;** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორებს – **მზია ხელაიას, ლელა ლუაშვილს, სოფიო კიკნაძეს;**



მაღალია ამ ბაგა-ბაღის აღმზრდელთა პროფესიული განვითარების დონე. ბავშვებს შემოქმედებითი თვითგამოხატვის საშუალებას აძლევენ, შემეცნებითი და მოტორული უნარების გასავითარებლად ნაირნაირ რესურსს სთავაზობენ და მათი ინტერესებიდან გამომდინარე წარმართავენ აქტივობებს აღმზრდელები: **მა**



**რინე ხმალაძე, როზა ნარმანია, ირმა კუპატაძე, ლია ბუთხუზი, გიული ხუციშვილი, მანანა ხუციშვილი, მაკა ფალავანდიშვილი, ოლღა კოპალეიშვილი, ნატო მაღლაკელიძე, ნუნუ მიქავა, ზოია ნოზაძე, მაია ნიბლაძე, ინგა ჭანტურიძე, ლიანა ხუბაევი, თამარ ერისთავი, თეა კასაბური, ინგა ნოზაძე, მაია ყორშია, თეონა ხუტაშვილი, თინათინ ხმალაძე, თამარ ანთიძე, ნინო გოჩიტაშვილი, თამარ გეგეშიძე, გვანცა გაბიანი;**

მზრუნველობას არ აკლებენ და პატარებს დადებითი ემოციებით ავსებენ აღმზრდელის თანაშემწეები: **ლალი კევლიშვილი, ეკატერინე გიორგაძე, ნაზიკო მაკალათია, მაგული გოზალიშვილი, ლალი ბზარაშვილი, ნანა მარგებაძე, ელმირა ფანგანი, გულო ნიქარიძე, თამარ ბეშიძე, მარიამ ცისკარიძე, თეკლე ხონელიძე, ხატია ალფენიძე, ლალი კავთიაშვილი, თამარ ციმაკურიძე, ესმა მოლაშხია, ჯეირან სარიძე, ვერა ტურტულაძე, მარინა ლიპარტელიანი, თეა გეგეშიძე, რუსუდან გვარამია, ნესტან ბარბაქაძე, ნანა ხადილაშვილი, ლია დუნდუა, თამარ ედიშერაშვილი, იამზე მეზვრიშვილი, თათია ბარნოვი, ლალი ნიკოლეიშვილი, მანანა კვარაცხელია, ციცინო ხმალაძე, მანანა მიდელაშვილი, ქეთევან იოსავა, მაია მწელიშვილი, სოფიო ჭალიძე, მაკა ბათმანიშვილი, ნანა პროკოპენკო;**



მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მუსიკალურ აქტივობებს, რომლებსაც მუსიკის პედაგოგები – **ლეილა მაჩაიძე, გენრიეტა ზაქარიაძე, ნათია დევრისაშვილი, მაგდა ოღრაპიშვილი** და **სოფიკო გიუტაშვილი** წარმართავენ. ფორმატი განსხვავებული აქვთ. ასაკობრივი ჯგუფები დილაობით ერთად იკრიბებიან მხიარული აერობიკის გაკვეთილებზე, რომელთა მეშვეობითაც ხდება ბავშვების უმტკივნეულოდ მომზადება სხვადასხვა თემატური აქტივობისთვის;

სუფთა, მოწესრიგებული და უსაფრთხო გარემო კი ტექნიკური პერსონალის დამსახურებაა, რაც მათ მაღალ პასუხისმგებლობასა და შრომისმოყვარეობაზე მიუთითებს.

ბაღში აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის, ქართული ენის, წიგნის საჯაროდ კითხვის, დედამიწის, აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო და დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეები; დიდი სიხარულითა და მონდომებით ემზადებიან პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისათვის. ამ დღეს ყველა ჯგუფი ჩართულია აქტივობებსა და ღონისძიებებში.

წელს საბავშვო ბაღში **5** მზაობის ჯგუფია. სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა დასასრულს უახლოვდება. ბავშვების მზაობა შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. ხუთივე ჯგუფი ემზადება გამოსაშვები საღამოსთვის, რომელიც აქ განსხვავებული ფორმატით ტარდება. დასკვნითი ღონისძიებისთვის განსაკუთრებული იდეის განხორციელებას აპირებენ, რომელსაც ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ და რომელსაც ჩვენც სამომავლოდ გავაშუქებთ.

**ნათია გურგენიძე**

მადლობა!

# „თქვენნაირი მასწავლებლები ცვლიან სამყაროს"



**სპეციალური** საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების აღზრდისა და განათლების სისტემაში ეფექტური ოჯახური და სასწავლო გარემოს შექმნა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია დღევანდელობის მრავალ პრობლემათა შორის. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის, პედაგოგებისა და ოჯახის კულტურა და აქტიური ჩართვა ამ პროცესში. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა, არამედ დამოკიდებულება ბავშვთა კეთილდღეობის, მათი ჯანმრთელობის, ფსიქო-სოციალური განვითარებისა და მათზე ზრუნვის მიმართ.

თბილისის **215-ე** საჯარო სკოლის დირექტორი **თამილა თამაზაშვილი** დაუღალავად ილვწის და ყველაფერს აკეთებს სკოლაში ჯანსაღი გარემოს, მოსწავლეთა მოტივაციისა და მათი კეთილდღეობისთვის. სწორედ ამიტომ არის, რომ მის მიმართ სამადლობელ სიტყვებს არ იშურებენ, ამ სკოლაში მოსვლის პირველივე დღეებიდან.

ამ საგაზეთო წერილში ერთ პატარა გოგონაზე, იულიაზე გიამბობთ, რომელიც დირექტორის კაბინეტის ყოველდღიური სტუმარია, საიდანაც იგი ყოველთვის მშვიდი, სიხარულით სავსე და ბედნიერი ბრუნდება.

როგორც იულიას აღმზრდელი ქალბატონი გულიკო გვიამბობს, სამი წლის წინ, ბავშვთა სახლიდან მას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, მოვლისა და აღზრდისათვის ანდო პატარა, ლამაზი და საყვარელი გოგონა **იულია კაზიევი.** მას მერე ქალბატონი გულიკოსთვის იულია მთავარი საზრუნავი გახდა და ყოველი დღე ინტერესით, მოლოდინით, დაბრკოლებებითა და სიხარულით აივსო.



გოგონას ხშირად სჭირდებოდა ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის დახმარება. მათთან მუდმივად დადიოდა სოციალური მუშაკი და ერთიანი ძალისხმევით მისი მდგომარეობის გაუმჯობესება შეძლეს. მალე სკოლაში წასვლის დროც მოახლოვდა. აღმზრდელი ღელავდა და შიში იპყრობდა, როგორ მიიღებდა მას სკოლა, როგორი გარემო დახვდებოდა, შეეგუებოდა თუ



არა თანაკლასელებს. მაგრამ შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. ქალბატონმა თამილამ საკუთარი ოჯახის წევრივით მიიღო პატარა გოგონა და მზრუნველობას არ აკლებს. მისი დამსახურებაა, უდიდესი შრომის ფასად, სკოლაში შექმნილი სიყვარულით სავსე გარემო, რომელიც თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალურ მიდგომას გულისხმობს.

სკოლის თავკაცს კოლექტივიც სანიმუშო ჰყავს. ბავშვის ცხოვრების ყოველ ასპექტში, მისი ქცევითი და ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე, თითოეული პედაგოგი მზადაა სირთულეების მოგვარებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს და გოგონას ცხოვრება გაულამაზოს – **მარი პეტროსიანი, თეა სოფრომაძე, მარინე ფიცხელაური, თამარ მაჭარაშვილი, ბელა თანდილაშვილი, მაია ფალიანი, ირინე ყარყარაშვილი, თამარ ბზიშვილი, ნიკა ნახუცრიშვილი;** მისი პირველი დამრიგებელი **ეკა გვარლიანი**, უანგარო მშველელი და დამხმარე სპეც. პედაგოგი **თეო კახაბრიშვილი**, იულიას მეგობარი – ექიმი **თამარ ჯერენაშვილი**; მანდატურები: **ეთო გველესიანი, ნინო ნადარაია, ეკა პატარაია** და **ზაზა შიოშვილი,** რომელიც იულიას ყოველ დილით შესასვლელში ეგებება და კარგი განწყობით აცილებს კლასისაკენ.



ქალბატონი გულიკო: „რომ არა ქალბატონი თამილას თანადგომა, სტიმული და დახმარება, მარტო ვერასდროს შევძლებდი ჩემზე მონდობილი სსსმ გოგონასთვის გზის ჩვენებას და აღზრდას. მადლობა ყველას იულიაზე ზრუნვისა და თითოეული დღისთვის, რომელსაც თქვენ სიხარულით უვსებთ, მადლობა თანადგომისთვის. მშვიდად ვარ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე და თქვენს სკოლას ვენდე. მჯერა, რომ თქვენნაირი მასწავლებლები ცვლიან სამყაროს."

ოჯახურმა გარემომ, აღმზრდელის სითბომ, სპეციალისტებთან თანამშრომლობამ, თანადგომამ და მხარდაჭერამ პატარა გოგონას ცხოვრება გაალამაზა და იმედი გვაქვს მომავალიც ასეთივე ლამაზი ექნება.

**ნათია გუგუნავა**

დებიუტი

# ნიჭიერი პოეტის წარდგინება



ბექა წიკლაური

პოეზიის მოყვარულთ უთუოდ მოხიბლავს ახალგაზრდა პოეტის **ბექა წიკლაურის** ლექსები, რომელიც მისი გულის ამოძახილია და ხატოვნად ასახავს განცდებსა თუ ცხოვრებისეულ მოვლენებს. პოეზია ძალიან უყვარს და ლექსებს ბავშვობიდან წერს, თუმცა საჯარო სივრცეში გამოჩენისგან ჯერჯერობით, თავს იკავებს. ბექას პოეზია საკუთარი გრძნობების და ემოციების ანარეკლია, სტილი კი დახვეწილი. იგი, ასევე გატაცებულია მუსიკით, უკრავს გიტარასა და ფანდურზე, წერს მუსიკას და სიმღერის ტექსტებს.

**დოსიე: ბექა წიკლაური** - დაიბადა 1991 წლის 21 ნოემბერს, თბილისში. სკოლის პარალელურად, მან დაამთავრა მუსიკალური ხუთწლედი და იყო ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლ „ერქვანის" წევრი. 2008 წელს ბექამ ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე. ამჟამად ის საგანმანათლებლო ცენტრ „სამყაროს" წარმატებული დირექტორია და აქტიურად არის ჩართული მის საქმიანობაში.

ბექა წიკლაურის ლექსები გამოირჩევა მრავალფეროვანი თემატიკით: ლირიული, სატრფიალო, ასევე პატრიოტული მოტივებით.

სამომავლოდ კი, იგეგმება მისი ახალი ლექსების კრებულის გამოცემა, ფართო საზოგადოებისთვის წარსადგენად.

ვუსურვებთ ნიჭიერ პოეტს მრავალ შემოქმედებით წარმატებას.

მზია გოგოძე

## ბექა წიკლაური

***

,,... **ჩამეხუტე** და ახლა შენი სურნელი დამდევს,
დამდევს და მათრობს ისე, როგორც შარბათი წმინდა,
ვსხედვართ ბუხართან, ეფერები გიტარის ლადებს,
ნაქსოვი სვიტრი გაცვია და ნაქსოვი წინდა.

სისხლისფერ ღვინით აალებულ თვალებში გიმზერ,
გვირლვევს სიჩუმეს ნაკვერჩხლებზე ტკაცუნი შეშის,
მწვავს ვნების ცეცხლი, თითქოს ვიწვე ვარსკვლავის ქიმზე,
და წმინდა ლტოლვით ჩამადნები თოვლივით ხელში.

ფიფქები სარკმელს იყენებენ ღია კულისად
და აცეცრებენ არფას ანცი კუპიდონები,
მონა ვიყავი ქვეყნად მხოლოდ სიყვარულისა
და მარად მხოლოდ შენს სიყვარულს დავემონები.

***

,,... კრიალოსანი, მძივების ასხმა,
თითო ჩამოთვლა - შენი სახელი,
სულში სიმშვიდე, გულში კი - თავსხმა,
თვალებში - ზეცა, თუმცა ცა ხელი

და ბობოქარი გრგვინავს მრისხანედ,
ელვისდარ მზერით წყდება სიმები,
ქარები კვლავ შენ სურნელს ისხამენ,
შენი ცრემლებით მხვრეტენ წვიმები.

კრიალოსანით ბოლო სართულზე
ვჭვრეტ ცის კაბადონს, დამეხშო სმენა...
პატარა ჩიტი იჯდა მავთულზე,
ვინ იცის, როგორ უნდოდა ფრენა...''

***

,,...გარეთ ქარია, სახლში ყოფნა როგორ არ მინდა,
მაგრამ სარეცელს მიჯაჭვული სხეული მეწვის,
ვებრძვი სიცოცხლეს და სიკვდილი მიხმობს ხრამიდან,
მესმის ხმა ჩუმი გოდების და ნეკნების ლეწვის.

ეს ძილ-ბურანი კოშმარია, შავი არეა,
გამოღვიძება არ იქნება ბოლო ცნობებით,
არც დაბრუნება მიწერია, გარეთ ქარია,
იწვის გული და ილევენთება სულში გრძნობები...''

***

,,...მზერა მომაპყრე, ბავშურად შემრცხვა
და გავირინდე თვალებდახრილი,
შენი ღიმილი ჰგავს პირველ მერცხალს,
მას ნაადრევად მოჰყავს აპრილი.

ვიდექით ასე მდუმარედ ერთხანს,
მოესხათ ხეებს მწვანე მანდილი,
შენი თვალები ჰგავს პირველ მერცხალს,
მას გაზაფხული მოჰყავს ნამდვილი...''

***

,,...გაიბნა ცაზე ავრორას მზერა,
ვინ გამაჩერებს გულ-ხელ დაკრეფილს?
თუ გინდა შენზე ლექსები ვწერო,
არასდროს მითხრა, რომ გენატრები.

ვნება ცბიერი გულთან ჩასაფრდა,
ხარხარებს ვნება - მწველი, ჭირ-მდები,
თუ გინდა ჩემი გრძნობა გამძაფრდეს,
არასდროს მითხრა, როგორ გჭირდები.

იყო წყურვილი და მთვარის რკალი,
განთიადზე კი აქრობს უმალ მზე,
თუ გინდა მუდამ მახსოვდე ქალო,
არასდროს დაწვე ჩემს სასთუმალზე.

არის სიშორე შენში უცვლელი,
რაც განგასხვავებს მკვეთრად სხვებისგან,
და დამდევს თან ეს გრძნობა სულელი...
და ვერ ვდგამ ნაბიჯს დავიწყებისკენ...''

***

,,...ის რაც ადრე საოცნებო იყო,
რასაც ადრე ბუნდოვნება ახლდა,
იმლვრეოდა - თითქოს გამქრალიყო,
დაიწმინდა, დამშვიდდა და ახდა.

მოგიწია სიცილიც და ცრემლიც,
შეგუება ჩემს უამრავ ნაკლთან,
შენ არასდროს გაგიშვია ხელი,
შენი ზრუნვა არასოდეს მაკლდა.

ახლა შენი ალმაფრენის მცქერი,
ალმაფრენა ჩემი ხვედრიც გახდა,
ფეთქავს გული შენი გულის ძგერით,
რაზეც ადრე ვოცნებობდით - ახდა!''

***

,,...გალაკტიონის ღამეა...
მთვარე - მეფური სისხლით,
გრძნობებს - ჯალათთა არმიას
ვებრძვი და ძალებს ვილევ.
ალბათ განგება თუ არი,
მაჭერს ცხოვრების წიხლი,
ტყვიაა შენი უარი
და საფეთქელთან ვიხლი...''

***

,,...გედების ტბასთან შიშვლდები
და იცვამ მხოლოდ პუანტებს,
ფიფქები მძიმედ ეშვება და
შენს თეთრ სხეულს ალურჯებს...
სუსხის მრისხანე ამბორი
ტანზე გაყინავს ჟრუანტელს,
შენ კი კვლავ ცეკვას აგრძელებ...
მე ეს სურათი მამუნჯებს...''

***

,,...ნუ დამიძახებ ნურასდროს პოეტს,
პატიმარი ვარ მუზების ციხის
და რომ ჩავიგდებ საჭირო მომენტს,
დავაწყებინებ გისოსებს რიხინს.

ყველას ტაშის კვრას გამოვეთხოვე
და დაფასებას საუკუნეთა,
მე და ზამთარი ვთიშავთ ბეთჰოვენს,
ახლა შეშის ხმას ვუსმენთ ლუმელთან...''

***

,,... რამდენი შეკითხვის ატანა მიხდება,
ვცილდები მიწას და იწყება შორეთი,
მზრუნველი მსოფლიო ვერასდროს მიხვდება,
რა ხდება ფიქრებში, როცა სდუმს პოეტი..."

***

,,...გიყურებ, ღიმილი მეღლება,
გძინავს და სხეული გიკრთის,
პირდაპირ სახეში მეხლება
ზმანების ვეება ზვირთი.

მიქოლავს სიფხიზლის კუნჭულებს
ბურანი, მშვიდი და უტყვი,
„მიყვარხარ" - მსუბუქად ვჩურჩულებ,
„მიყვარხარ" - მპასუხობ სუნთქვით.

ნიავი ფანჯრებზე ღლიცინებს,
მნათობი ღრუბლების კიდეს
მიადგა... პატარავ, იძინე,
დილამდე შორია კიდე. "

***

,,...ბარხანებით და დიუნებით დაფარულ ქალაქს,
მედგრად იცავენ ანუბისის ქვემევრდომები,
თვლის მეფის კართა მორიელი უამრავ ქალას,
ავ ბედს მიქადის ამ ქალაქის მისადგომები.

აქ ყველგან ძრწოლა და ვეება შიში დაგორავს,
შორს ჰორიზონტზე სილუეტი მოსჩანს სასახლის,
წვავს დამშრალ სხეულს დაუნდობლად ღმერთი ამონ-რა,
და თვით რამზესის წყევლა ახლა სულ არ მანაღვლებს,

რადგან სურვილი მისი ნახვის, გულს არ შორდება
და თვალებია მისი, ვიცი, უკანასკნელი,
რასაც ვიხილავ, ჩინს დაწვავენ მზერის შოლტები,
მკვდართა ქალაქში აჩრდილების თანასაკნელი

გავხდები, მხრებზე დამეწყობა მისი ხელები,
მაკოცებს, შემქმნის უძრავად და სხვა გზებს შეღობავს,
წამში გაქრება, დავეცემი ციებ-ცხელებით,
ველარ ვიხილავ სილამაზის მფარველ დედოფალს.

მაინც მივდივარ მისკენ და თან ზეცა ლურჯდება,
ზურმუხტის ხეებს საფირონის წყარონი კვებენ,
ამ ოაზისთან ხიბლს დაკარგავს და დამუნჯდება,
კარნაკებით და ლუქსორებით განთქმული თებე.

და აი, ათას დაბრკოლება გადალახული,
გადავივიწყებ თუ მოსვლამდე რამე მიჭირდა,
რადგან თვალწინ დგას საოცრება, ჯერ არ ნახული,
მას შევეხები, რომ გადავდგა ეს ნაბიჯიც და...

მგონი ზედმეტი მომივიდა წინა კვირაში,
გამოვფხიზლდი და ყველაფერი იყო მირაჟი."

***

,,...შიში არ არის დასაძრახი, თუმცა ღირსება
შენს გულში ამ შიშს გაცილებით უნდა ჭარბობდეს,
და თუ სიკვდილის ფიალაში სისხლი ივსება
დაე, შევსვათ და საქართველოს რწმენა გვათბობდეს.

განმეორდება წარმართული აპოთეოსი,
თავად მდინარეც, მარადისი, სისხლში დამხრჩვალა,
დაიწევს მტკვარი, მოადგება ხიდს პომპეუსი
და კიდევ ერთხელ აალდება არაგვის ჭალა.

ისევ გადაგვტეხს ხერხემალში სპარსული ხმალი,
და ურჯულოთა ბორკილები მაჯებს დახრავენ,
კვლავ ივლის ერი თვის მიწაზე მტრისგან დამფრთხალი,
სხვათა დაკრულზე, უცხო ლექსით, უცხო საკრავით.

კარგად ვცნობთ სიკვდილს და არ ველით სიცოცხლეს უშრეტს,
მარადისობა მოჰყოლია გმირთა სამარხებს,
ჰეი, ძმობილო, გალავნიდან მხოლოდ წინ ნუ ჭვრეტ!
შიგნით ჩახედე, შიგნით! ვილაც კარიბჭეს ალებს.

და ახლა როცა, შიშის ქარი აცივებს კერას,
მინავლულ იმედს ჩასაქრობად ეპოტინება,
ჰე, ქართველებო! ერთი გულით დაიწყეთ ძგერა!
და დაუბრუნეთ საქართველოს ძველი დიდება!

საერო სკოლა „გერგეტი" მოწინავეა

# საუკეთესოთა ავანგარდში იყვნენ და არიან



**დიდი ხანია** ამ ტიპის სკოლებმა გაამართლეს თავიანთი სტატუსი, სასწავლო პროცესი და სწავლების ხარისხი საჯარო სკოლებზე უფრო მაღლა აიყვანეს. ასეთთა ავანგარდში ათეული წლებია დგას მრავალპროფილიანი საერო სკოლა სახელწოდებით **„გეტი"** ანუ **„გერგეტი"**.

მახსენდება ბრძენკაცის სიტყვები: „კადრები წყვეტენ ყველაფერს!"

ნიჭიერმა, ერუდირებულმა ხელმძღვანელმა **ლიკა ქოიავამ** და **ლინა ხარაზიშვილმა** სკოლა თავიდანვე დააკომპლექტეს ძლიერი პედაგოგებით, შექმნეს შემოქმედებითი, შეხმატკბილებული თანამშრომლობის გარემო, მოაწესრიგეს ინფრასტრუქტურა და მიაღწიეს პოპულარობას. მიიზიდეს სწავლის მოყვარე მოსწავლე ახალგაზრდობა. ყველაფერი ასეა: თავდადებულ, გატაცებულ შრომას შედეგიც სასიხარულო მოსდევს.

თვალი კიდევ ახალი წარმატებებისაკენ უჭირავეთ.

მინდა სკოლიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე ავაგო მსჯელობა.





### უკვე მოსავალს მოიმკიან

**შპს „გეტი"** - კერძო სკოლა ფუნქციონირებს 2007 წლიდან. სკოლის დამფუძნებელი და გენ. დირექტორია **ლია კობაიძე-ქოიავა,** სკოლას ხელმძღვანელობს ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი - **ლინა ხარაზიშვილი.**

სკოლამ წელს, იანვარში უკვე მესამედ გაიარა ავტორიზაცია, ორი წლის მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობაა ბაზაში. მოთხოვნა სკოლაში გადმოსვლასთან დაკავშირებით ძალიან დიდია. გვაქვს სრულად დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური (1-12) კლასები;

პირველკლასელთა მიღება უკვე შეწყვეტილია. ადგილები განცხადების დადებისთანავე შეივსო.

მოქმედი პედაგოგებიდან ყველა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მატარებელია, რამდენიმე მასწავლებლის გარდა, რომლებიც მოწვეული პედაგოგის სტატუსით გვყავს. ძალიან გვიჭირს კადრის მოძიება საგნებში-ფიზიკა და სპორტი.

ყოველ წელს ვცდილობთ ახალგაზრდა მასწავლებლების შემოყვანას. მაქსიმალურად ვეხმარებით მასწავლებლის ურთულეს პროფესიულ სქემაში შემოსვლასა და გაზრდაში.

სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის, ჭადრაკის, სახვითი ხელოვნების, ფრანგული ენის წრეები. დაწყებითი კლასების მოსწავლეები სარგებლობენ გახანგრძლივებული ჯგუფის მომსახურებით. სკოლას ემსახურება კვალიფიციური ექიმი. მოქმედებს ინფორმატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია.

ყოველ წელს მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ოლიმპიადებში, როგორც შიდა სასკოლო, ასევე რესპუბლიკური მასშტაბით.ბოლო დროს განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს კინგსის ოლიმპიადა, რომელშიც ჩვენს მოსწავლეებს ყოველთვის საპრიზო ადგილები აქვთ.

შარშანაც და წელსაც ოთხი ოქროს მედალოსანი გვყავს.

სკოლაში ტარდება **ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, მხიარული სტარტების ტურნირები. რა? სად? როდის?** და **კულინარიული** კონკურსები. ასევე შიდასასკოლო ოლიმპიადები სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში. გამარჯვებული მოსწავლეები ჯილდოვდებიან სამახსოვრო საჩუქრებით.





სკოლის დირექცია აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლებაზე. ცდილობს ფეხდაფეხ მიყვეს იმ სიახლეებს, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უხვად გვთავაზობს. კმაყოფილების განცდით შევხვდით წელს მეათე კლასში საქართველოს ისტორიის ცალკე საგნად გამოყოფას.. ეს გადადგმული ნაბიჯი ნამდვილად დროული იყო. აუცილებელია ჩვენმა შვილებმა კარგად იცოდნენ საკუთარი ქვეყნის წარსული, რათა შევძლოთ განვითარებაზე ორიენტირებული თანამედროვე ღირებულებებზე გაზრდილი პატრიოტული თაობის აღზრდა.

ამ მოკლე, თითქოსდა მშრალ მიმოხილვაშიც კარგად იგრძნობა დირექციის, ყველა პედაგოგის დაძაბული შრომა, სკოლის ცხოვრების საინტერესო მაჯისცემა.

ახალ წარმატებებს, ახალი მიჯნების გადალახვას გისურვებთ, „გერგეტელებო"!





**ბორის მიშველაძე,**
პედაგოგიკის დოქტორი

შეხვედრა ტეზრის საჯარო სკოლაში

# „დედა ენა" - ჩვენი საამაყო და საგოგმანები სასოება ხელთა ფერებად




**ქართული** ენისადმი მიძღვნილი დიდებული ღონისძიება გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტეზრის საჯარო სკოლაში, სადაც მიწვეული ვიყავი მე, როგორც ვარიანის დიდი იაკობ გოგებაშვილის სკოლის კედლებში აღზრდილი და მისი სულით ნასაზრდოები პოეტი და პედაგოგი.

ჩემს გვერდით იყვნენ ღირსეული პოეტები, ჩემი საამაყო მეგობრები: **გერმანე საზანოელი, პაპუნა ქვარიანი** და **ზურაბ ქობალია,** რომლებთან ერთად მადლიერებით ვიზიარებდი სიხარულს, სიყვარულს, სიკეთეს და ბედნიერებას ნაჩუქარს ჩვენი დიდებული მასპინძლებისგან.

ღონისძიებაზე მე-6 კლასის მოსწავლეებმა წაიკითხეს ჩემი ლექსები, რითაც ძალიან გამახარეს და უსაზღვროდ გამაბედნიერეს.

კლასის ხელმძღვანელმა **ნინო მანჩხაშვილმა** ისაუბრა ჩემი ბავშვობის და სკოლის წლებზე, განმაცვიფრა და საოცრად გამახარა, როდესაც მან, თავის მიერ ჩაწერილი ჩემი პირველი მასწავლებლის **თინა თინქებაძის** საუბარი მომასმენინა ამ დიდებულ, საოცარ ღონისძიებაზე, თუ როგორი მოსწავლე ვიყავი მე, პატარა დეზდემონა - **დეზი ემანულიძე** და მე, თვალს მომდგარი ცრემლები გულში ჩამეღვარა. სიამით და სითბოთი, ბედნიერებით სავსე პატარა მოწაფეებმა ასევე წაიკითხეს ჩემი მეგობარი პოეტების ლექსები, ისინი თავიანთი გაბრწყინებული თვალებით შემოგვციცინებდნენ.

თითოეული ბავშვის მიერ წარმოთქმული სიტყვა და ფრაზა იყო სიდიადე და იმედი მომავალი ბედნიერი, საამაყო საქართველოსი და რწმენა საკუთარი თავისა სამშობლოს სადიდებლად .

პატარა ვირტუოზებმა შეასრულეს ქართული სიმღერები საოცარ ჰანგებად დაღვრილი ბუნების სივრცეში და დამღერება ფანდურზე სასიამოვნო დაკვრის თანხლებით.

ღონისძიებას ჩვენთვის მუსიკალურად აფორმებდა მოწვეული სტუმარი, სამცხე - ჯავახეთის მევიოლინე **თეა მანჩხაშვილი,** რომლის მიერ აჟღერებულმა ვიოლინოს ხმამ მოაჯადოვა სრულიად სამყარო და ამ სიტურფეს ჩვენცა შევხარდით მხილველნი.



სითბოს, სიყვარულის საქებარი სიტყვების და მასპინძლობის მადლიერნი ვართ სკოლის დირექტორის **ლელა ლომიძის** წინაშე, მას ქედმოხრით, დიადი პატივით ვუხდით მადლობას, ასეთი ღირსეული დახვედრის და ესოდენ დიდებული, საამაყო ბავშვების აღზრდისა და ზრუნვისთვის.

მადლიერი ვართ ყველა დამხვედური მასპინძლის, ვინც ჩვენ გულიდან სალბუნად სიყვარულით დაგვეამა. დაწყებითი კლასის მასწავლებელ **ლიანა აბრამიშვილის**, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ **ლალი გოგოლაძის,** სკოლის ბიბლიოთეკარ **ნანა ბეზორაშვილის,** მუსიკის მასწავლებლის **თეა აგიაშვილის** და სხვათა.



განსაკუთრებულად კი, მინდა მადლიერების გრძნობა მივიტანო დაჩოქებად უფალთან იმ პატარა ბავშვებისა, რომლებმაც დიდი სიყვარულის სულისკვეთებით, სითბოთი ანთებული თვალებით და ამ ლამაზი თვალებიდან სიხარულის, სიკეთის ნაპერწკლებით აალებული სიყვარულით გადმოგვცეს ჩვენი ლექსების ემოცია იმ გრძნობისა, რა გრძნობითაც ვწერთ ჩვენ სულის ამოძახილად, რათა მათ ეამებინათ ჩვენთვის.

გმადლობთ, ჩემო პატარა მართვეებო, გმადლობთ, რომ თქვენ ხართ რწმენა ჩვენი და იმედი მომავალი საქართველოსი, ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისა. მე მჯერა, რომ თქვენ ის არწივები ხართ, რომლებიც ამაყად შეკრავთ კამარას ულრუბლო ცაზე მშვიდობის, სიკეთის, განათლებისა და გონიერების სადიდებლად. ესენი იყვნენ მეექვსე კლასელები: **გაბრიელ გელაშვილი, ივანე ნოზაძე, მარიამ ჭადაშვილი, დავით ჭადაშვილი, დავით გორგაძე, ნია გორგაძე, მარიამ რომაშვილი, ანანო ფუტკარაძე, მარიამ ცუცქირიძე, ავთო ზუმბაძე, ლიკა ხაჩიძე, ლელა აბრამიშვილი, ნოდარ ელისაშვილი, ანასტასია ლონლაძე** და **ბარბარე დვალიშვილი.**

და ყველაზე მთავარი კი, კლასის ხელმძღვანელი **ნინო მანჩხაშვილი,** სულისჩამდგმელი და ინიციატორი ამ ბედნიერი დღისა. დიადი მოძღვარი და ძლიერი, უშიშარი საჭეთმპყრობელი მანათობელ სანთლად ამ პატარა ანგელოზებისა, ცხოვრების ბედნიერი გზებით სატარებლად წარმატებული მწვერვალებისკენ.

მადლობა მას და მადლიერება მის ნაღვაწს, ნაფიქრალ საქმეს, ქცეულს დიად ბედნიერ დღედ მომავალში ტკბილ ნოსტალგიად.




და მე ამაყი ვარ, ვდიდგულობ, მესიცოცხლება მათი ეს სიდიადე ბრწყინვალებად მზეობრივი სხივებისა მანათობლად საქართველოს ცაზე ქართული გენის მრავალჟამიერებად.

ასევე მადლიერებას გამოვხატავ მოწვეული სტუმრების, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელ **კლარა გელაშვილის,** რომელმაც საკუთარი საოცარი ლექსი წაგვიკითხა და საბავშვო ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარის **მანანა ალაჯანოვისა.**

მეამაყება ჩემი თქვენობა და ქართველობა ჩემი ჯიშისა, ერისა, მაბედნიერებს ჩვენი მშობლიური ენა - ქართული, სიამაყე და სილამაზე სადიადოდ ჩვენდა იბრწყინეთ, იმზეგრძელეთ, იკაშკაშეთ, რომ მუდამ ქუხდეს ჭეშმარიტებად „დედა ენა" ჩვენი ქართული - საგოგმანები ხელთა ფერებად, მუდამ გვწამდეს ლოცვად ამოძახილი: „მამული, ენა, სარწმუნოება!!!"

**დეზი ემანულიძე,**
პოეტი და პედაგოგი



ლილე კავკასიშვილი

# „ღამეული“

- ამ სიბნელეში რად დაეხეტები, დღისით მავალო მგზავრო?

- მე რას დავეხეტები თუ შენ? ერთხელ გამოვედი ამ ბნელში და ჩემი გიკვირს?

- მე კარგად ვიცი, რად დაეხეტები, მაგრამ შენ თუ იცი, გაიძვერა, ფლიდი, ლაჩარი, თვალთმაქცი რომ ხარ, დღისეულო.

- რას მერჩი, ამ შუაღამისას მხვდები და მძარცვავ, კიდევ მე ვარ გაიძვერა, ფლიდი, ლაჩარი და თვალთმაქცი?

- დიაღ, შენა ხარ. ნუთუ იმასაც ცდილობ, თავი იმართლო, სხვის სულში რას აფათურებ ხელებს? რას იჩხრიკები? ვის ეძებდი?

- შენ გეძებდი და გიპოვე.

- ჰმ, ღამეულს დაეძებდი?

- დიაღ, სწორედ მიმხვდარხარ, მე შენს სულში ვიჩხრიკები, ყველაფერს ვქექავ, რათა დღის სინათლეზე გამოგფინო.

– თავი გამანებე! მე შენ სულიერად არ გამიძარცვიხარ, ფიზიკურად გაგძარცვე. სული, რაც მთავარია, არ მომიკლავს შენი.

- ეს როგორ? არაფერი შემარჩინე და მეტი დამნაშავე ვარ შენზედ?

- არაფერი გცოდნია, დღისით მავალო მგზავრო. თუ ღვთის მცნებას მიყვები, ნათქვამია: „თუ კაბა გაგაძრონ, პერანგიც მიაყოლეო."

- შენ მე ჭკუას მასწავლი, ღამეულო, უფრო დიდი სიბრძნე გქონია. კიდევ რას მეტყვი ჭეშმარიტად გამოსადეგს?

- თორე ღამით, მოსინჯე ჩემი ცხოვრებით გაძლება და შეიცნობ ჭეშმარიტებას. ფსკერზე თუ არ იარე, ისე რას გაიგებ... თავსაც მამეტებ, მგონი, მოაზროვნე ვარო!

თუ აზროვნებ, მიპასუხე: მე ყაჩაღი, მკვლელი მეტი დამნაშავე ვარ თუ შენ, რომელსაც ადამიანის სისხლი როგორ დალვარე, არავის დაუნახავს. როგორ მოპარე, ვერავინ შეგამჩნია, როგორ დააბეზღე, ვითომდა შეუმჩნეველი დარჩა. ახლა სულის ჩხრეკა მოინდომე და ყველანაირი ტკივილი მოუშუშებელი ჭრილობასავით დამიტოვე სულში.

– ღამეულო, შენმა ნათქვამმა საკუთარ თავში ეჭვი დაბადა!

- ამიტომ კარგად ჩაიხედე სარკეში, თვალები როგორ შემოგხედავენ? საკუთარი თავი ყველაზე უკეთ გაგცემს პასუხს. მიკვირს, აქამდე რად ვერ მიხვდი, დანაშაული საკუთარ თავში მოძებნო. მაშ, აღარ ინუწუნო „დანაშაული არ მიმიძღვისო".

– ღამეულო, შენი ნათქვამი სილას მაწნის, მარცხვენს, მაწითლებს, სინდისის ქენჯნას აღმიძრავს! მე რომ გითხრა, შენობა რომ დაწვეს, მე ვიყავი დამნაშავე, ქუჩაში რომ კაცი მოკლეს, მაინც მე ვიყავი დამნაშავე, რომ გაძარცვეს მოძმე და არ ვუთანაგრძნე, იქაც მე ვიყავი დამნაშავე. სხვისი ცუდი საქციელი სააშკაროზედ რომ გამოვიტანე, მე ვიყავი დამნაშავე.

თვალთმაქცს, ქვეშეცნეულ ეშმაკს თავი რომ დავუქნიე, იქაც მე ვიყავი დამნაშავე. მართლა, ყველგან ვხედავ საკუთარ დანაშაულს... თუკი ყოველივე ვაღიარე, ისევ არარაობა ვიქნები, ღამეულო?

- შენ ისევ არარაობა ხარ, დღისით მავალო მგზავრო, რადგან ღამის სარკეში ვერ ჩაიხედე, ვერ შეიცანი ჭეშმარიტება.

- გამოდის, მე მწვრთნელი არა მყოლია, ღამეულო!

- ჩემი ყველაზე დიდი მწვრთნელი ცხოვრებისა ქუჩა იყო დღისით მავალი! შენ აღმზრდელს გაფაციცებით უსმენდი და ოცნებით ზეცაში ფრენდი, ერთხელაც არ დაშვებულხარ დედამიწაზე და ვერ შეიცანი რეალობა. ამიტომ არა გყოლია გამზრდელი. მე კიდევ ყოველგვარი სისაძაგლის შეცნობამ იქამდე მიმიყვანა, რომ ყოველგვარი საქციელი გულწრფელად მოვინანიო და გადავირჩინო ძლიერი ნაჭრილობევი ჩემი სულისა.

- ღამეულო, ვატყობ, ჩემი ყველაზე დიდი გამზრდელი თქვენ ბრძანდებით. ამიტომ გადავწყვიტე, ერთხელაც არ ამოსცდეს ბაგეს ღამეულის მიმართ საყვედური, რადგან თვალი ამიხილე და იცი როგორ? დიაღ, ყველაფერში და ყველგან საკუთარ თავს ვცნობ დამნაშავედ. ჩვენ ხომ ორთავენი ერთი ჯილაგიდან ვართ. დრო იყო, ჩემთვის დახმარების ხელი გამოგიწვდია. დრო დადგა გაგიჭირდა და გამძარცვე, მაგრამ ვხედები, დღეს უფლება არ მაქვს მაინც დამნაშავედ გცნო, „რამეთუ შენს დანაშაულში ხომ მეც მიდევს ბრალი".

- არ დამეხსნები, დღისით მავალო? აკი გითხარი: ჩემს სულს ძარცვავ შენ, თუნდაც ინანიებ ყოველივეს.

- თავს ვერ განებებ. კიდევ ერთს შეგეკითხები ღამეულო და მიპასუხე: შენი გზა საით მიდის? ჩემი გზა? სანთლით ანთებული ტაძრისკენ მიმავალ გზას გავყვები; ხომ მაქვს ამის უფლება, ღამეულო? მე ხომ ყველაფერი ვაღიარე შენს წინაშე?

- „ღამეულს მიეცი აღსარება" შენ და მე, ორთავენი, ტაძრისკენ მიმავალ ბილიკს ანთებული სანთლით გავყვებით, მაგრამ დღისით მავალო მგზავრო, მე, ღამეული, უფრო ადრე მოვალ ტაძარში, რადგან ჭეშმარიტების სიღრმისეულმა შეცნობამ ამხილა გონება და შემიძრა სულიც; შენ კიდევ, ყველას დასანახად, ბრწყინვალედ მორთული, ტაძარში დაბრძანდები, ანთებ სანთლებს და ვითომდა იმეტებ მოწყალებას, მაგრამ ამით სულს მაინც ვერ გადაარჩენ, რადგან ბოლომდე უნდა გაიძარცვო და უარი თქვა ყველა ამქვეყნიურ ბრწყინვალებაზე. და ნუ აიძულებ მოძმეთ, ღამით იარონ და ჩაგითრიონ დანაშაულში.

- დავმარცხდი შენთან, ღამეულო. მაგრამ შევიცანი კი ჭეშმარიტება. იმედი გამიჩნდა, დანაშაულს ორთავე გულწრფელად მოვინანიებთ, მაგრამ ვაი, რომ ამ ცოდვილს დედამიწაზედ ჯერ კიდევ ბევრმა არ იცის, ვინ არის ჩვენს შორის დამნაშავე და გზა, მიმავალი ეკლიანი ბილიკისაკენ, გაუგებარი უსასრულობით მიგვაქანებს ორთავეს.

# თედუაანთ გივია

- ლექსი დავწერე, გივია ბიჭო! აბა, ე მანდ, კარგად მომისმინე, შენს გახარებას, ვაჟო!

- ლექსი არა, ჭირი!

- ჭირიო! თედუანთ შვილს რა დაგემართა, გენაცვალე, ლექსებსა ეგრე რიგად როდი იძულებდი?

- თავი დამანებე! ჯანდაბამდის წასულხარ, ემაგ შენი ლექსებითა!

- რა დაემართა, ნეტაი, იმ გივიას აღარა გავს.

- შენ კიდემა, რასა ბოდავ, ქალო. სულ ლექსის ხასიათზე ხო ვერ დადგება კაცი?

- თუ არ გამოექომაგე და გადაეფოფრე არ იქნება. ლექსის წერაი თუ არ გაეგება კაცსა, მოსმენაი მაინც უნდა უყვარდეს. ყურსა და გულს ორთავე ეამების.

- ესეც ველარ იცლის ლექსისთვინა, ეტყობა, მაგის გონება ახალმა დროებამ სულ შეცვალა.

- შეცვალა არა ისა... ისევ ის გივიაა, ოლონდაც სხვას აღარ უსმენს, თორემ ლექსს ჩუმად თავადაც თხზავს, ხო იცი...

სადაც მივდივარ, ყველგან მომყვება და ჩამძახის ლექსის მუზა. არ მასვენებს მშობლიურიდან ამონახეთქი ღვთიური სიტყვა. საოცარი ძალა მექაჩება ორი მხრიდან: ერთი ლექსის სტრიქონს მთავაზობს, მეორე სამშობლოს დაცვას მემუდარება. თავს დამადგება ხოლმე მუზა, შემანჯღრევს და იღვრება სიტყვა კალამზედ, მაგრამ რა ვუყო მთავარს, ჩემგან გალებული სიცოცხლე სჭირდება მამულს, ჩემს ხალხს. ახლა ლექსის დრო როდია, მამულს სჭირდება მართლაცდა დაცვა! მაგრამ პოეზიის სიყვარულით დამუხტულ ნაცნობ-მეგობრებს როგორ გავექცე?.. თავი როგორღა ავარიდო?

- გივია, კარგი ნახატი გამომივიდა, ბიჭო, აბა, ერთი, შენებურად შაჰხედე, საღამოზედ თუ მოხვალ, ზურნებზედაც ვილხინოთ.

- ნახატი არა, ჭირი!

- რაო, ბიჭო? რა დაგემართა? როდი გაურბოდი კარგ ნახატსა, აკი ნიკალა გიყვარდა, თვითნასწავლია, არავისა ჰგავსო. არავისა ებაძებაო!

- მერე, შენ ნიკალა ხომ არა ხარ? თავი დამანებეთ!

- ნეტა, არა ხუმრობდე, აჰა, გელოდები!

ე რა თქვა, კაცო, ჭორიო! რა მოუვიდა თედუაანთ ვაჟსა, ნეტავ, რას უჩივის? ისე კი ჩაფიქრებული დადის, აჰ! მგონი, პოლიციაშიდაც მიუწვევიათ სამუშაოზედ და აღარა უნდა ვითომდა ლექსიო.

- სისულელეა, ჩვენი ხალხი იარაღს გააგდებს ხელიდამა და ლექსს წერას თავს ვერ დაანებებს.

- ნახამ თუ არ დაივიწყებენ.

- რას ამბობ, მიტო? ჩვენი წინაპრები „ნიქარა" ხარებს მიუძღოდნენ და მაშინაც ღიღინებდნენ ხალხის მიერ შეთხზულ ლექსებსა. მათი ხნულიდან ამომავალი მიწის სურნელი ლექსებად და სიმღერებად იღვრებოდა, კაცო! ღვთისგან ნაბოძები სიმღერისა და ლექსის ნიჭი კაცობრიობის განვითარებამ თითქო ჩაყლაპაო, მაგრამ დროებით... ცხოვრება მომაკვდავი ადამიანის წინასიტყვაობას დაემსგავსა...

- ერთად რომ დავსხდებით, ყველა ჭირი გვავიწყდება. „ჩვენი თავი ჩვენ ხელთ არის, თავისუფლად გამოვთქვამთ ჩვენს აზრსა და ვმდიდრდებით ჩვენივე ფესვებით. ღვთისაგან ნაბოძებს ღალატი არ უნდა, კაცო!

- გივიაი! ყველას აბუჩად იგდებს, ლექსი არა, ჭირიო! ნახატი არა, ჭირიო! მაშ, ერთი ეს მითხრას, თვითონ ვინ არის?

- ვინ არის და მომავალი პოლიციელია, ჰო, რა გიკვირს? წესრიგი უნდა დაამყაროს შინ და გარეთა, აგე, მეზობლობაში რო დაითვრებიან, მერე ერთმანეთს დასცხებენ ხან ფიწლითა, ხან კიდემა ქეთლითა და ერთი თავ-პირი მტვრევითა, ეგრე ხო არ შეიძლება, ერთი კაცი მაინც უნდა გვყვანდეს სოფლადა წესრიგის მოყვარული.

- რა წესრიგი, ლექსო?.. ჯერ არ წასულა სამსახურშია და ლექსი აბუჩად აუგდია, მერმე რაღას იზამს?

- ლექსის ქებაი რო დაიწყოს, არავინა დაუჯერებს და აბუჩად აიგდებენ: ხედამ, რა ჭკვიანი ვაჟი ჰყამს ჩვენს თედუასა. იმაზედა მოგახსენებთ წელან რო მითხარი, ამოტენა გაოხრებულ კაცს ერთი ჩვენია გივიაი უშველისო! ბრძოლის ჟინია ხალხში, თავისუფლება სწყურია ყველას, მტერს რო ვერ მაერევა კაცი, შინაურობაში ატეხამს შფოთსა, დათრგუნვილი მოდგმა შინაურს აღარ ინდობს ხოლმე! ნეტაი, ჩვენ არ დაგვივიწყდებდეს გივიაი!

- ვაა, რა დილა გამითენდა? შენ დაგენაცვლოს დედამა! აბა ერთი, ჩემს ვაჟკაცსა შეჰხედეთ, როგორ დამშვენებულა ახალ ფორმაშია!

შვილო, გლოცამ და გემუდარები, სადაც უნდა წახვიდე და ამაღლდე, შენს სოფლელებსა ნუ დაივიწყებ, ხო იცი, მაგათგან ღალატი შორსაა!

- დედი, განა შენი შვილი არა ვარ, რო ეგრერიგად არ გიღალატოთ შინაურებსა! ახლა მიტუანთ უნდა გავიდე, ლექსსა უნდა მოვუსმინო!

- მაშა, ჩვენთან მოხვედი გივია? არ წასწყდები, ვაჟო!

რა ქნას გოგიამა? სულში აწვალებს სტრიქონის ძალა, მაინც ჩაუარა ძმადნაფიცსა. ტაბლას შეხედა მამა-პაპურს, კათხას მისწვდა მისთვის მომზადებულს და ლაზათიანად დაასრულა ნალოლიავები, ვითომდა დამალული პწკარედები.

- გივია, ეს შენ გაგიმარჯოს, შვილო! რო არ ივიწყებ ძველის-ძველსა. ღმერთმა გზა დაგილოცოს! მე კი მართლა გამახარე, ბერიკაცი. იმ სამსახურში შეიძლება ველარ დაწერო ნაჩვევი სტრიქონი, მაგრამ სული ხომ შეგრჩება ლექსის მადლით შთაგონებული. ეგრე რიგად კაცს ვერ გასწირამ! ვიცი, გვასახელებ ჩვენიანებს და გულგრილად არ ჩაუვლი კარ-მიდამოს. შენი დედ-მამის გაზრდილი ცუდს არას იზამ!..

კარგი იყო ის საღამო თედუანთ გივიასათვის.

- ჯერ ამ სოფლიდან პოლიციელი არვინ გამხდარა, მიტო!

- როგორ იცვლება ცხოვრება, ი „პაგონი" რა შვენის?

- ეჰ, ამ დროს რა ვუთხრა, თორემა ლექსის წერაი ეხერხება თედუაანთ ბიჭსა, მაგრამ რა დროს ლექსია, კაცო, ქვეყანასა შველა უნდაო!

როგორ ამბობს?

„ლექსი არა, ჭირიო!"

- „სიყვარულსა მალვა უნდაო", ხო იცი? ჰოდა, ეს კაციც მალავს რო ეგრე უყვარს და გამოდის პწკარედები.

* * *

ვერც დიდ ხევში მოუთმენია გივიასა ბუნებასთან ალერსი. ცივ წყაროსთან დამსხდარან. ლექსები გახსენებიათ, საბრალოთ. შაირობა გამართულა, მერე „წინწყაროს" მღერაი დაუწყიათ და სროლის ხმა მოსულა ახლოს. პირდაპირ გულში ესროლეს „თედუაანთ ბიჭსა", დიდ ხევში მოუკლავთ, ჩაუჩეხიათ უცხოთგან მოსულთ, არ მოსწონებიათ შეიარაღებული ვაჟკაცი: თვალში საცემიაო, ასე გამოხატეს.

„ლექსი არა, ჭირი".

„ქვეყანას მიხედეთო" და მიძინებულა, კი არ მომკვდარა.

## ლიტერატურული გვერდი



### ზურაბ მამულაშვილი

## მონანიება

**დამტოვეს** მარტო, ყველა წავიდა,
ჩემი მფარველი ახლა ლექსია
და სინანულის იმავ წამიდან
სულ სხვა ფიქრები შემომესია.

ვფიქრობ, შეცდომა ხომ არ დავუშვი,
ან, იქნებ, ღმერთი მიწყობს გამოცდას,
იქნებ ცხოვრების აურზაურში
უმართებული რამე წამომცდა.

ან უკვე ხომ არ მიწია ცოდვამ,
გენიდან გენში კვლავ რომ გადადის,
ან ის, ეს გული ადრე რომ მთხოვდა,
მივსულიყავი უფლის კარამდე.

ღმერთია მხოლოდ ყოველის შემძლე,
იცის, ცხოვრებას როგორ ვეწამე,
შეუძლებელი რამდენჯერ შევძელ,
არა მგონია, რომ დავესაჯე.

თუმც, უცოდველი კრავიც არა ვარ,
ყველგან სიკეთის თესლი ვაბნიო,
კაცობრიობის წინაშე მზად ვარ,
ყველა ცოდვები მოვინანიო.



### ზურაბ ქობალია

### ახალი ლექსები

* * *

მიყვარს მევიოლინე და
მე ვიოლინოც მიყვარს,
სად მიმითითებს ხემი,
უმალ შევაღებ იმ კარს.

ვიოლინოს ხმას ვუსმენ,
გული მიძგერის სხვაგვარ,
ხემი ეხება სიმებს,
გულის სიმების მაგვარს.

ცეკვას ვინდომებ მერე,
ტრფობამ თუ ამაცეტა,
მასზე ლექსები ვწერე,
როცა დამლალა ცეკვამ.

ხმა კვლავ ჩამესმის ყურში
ხემის და სიმის ტრფობის,
მეც გამივლია გულში
ჰანგები დიდი "შტორმის" .

რამ შემაყვარა, ნეტავ,
ანდა ასე რად დავალ,
მიყვარს მე ვიოლინო,
მევიოლინეც თავად.

## როგორ გამპარვია დრო

როგორ გამპარვია დრო,
ახლაც მიიპარება,
როგორ შევაჩერო, რომ
არ გამიხდეს თავნება.

ცოტაც ჩემი ისმინოს,
ცოტაც - შენი და მისი,
ცოტა მასაც ვუსმინოთ,
ბარემ, ღვინოც დამისხით.

დროს შემორჩენთ იქნება,
სხვა დროს შემოვუძახოთ,
არ გვექნება დიდება,
მაინც ვიყოთ სულ ახლოს.

გარდასულთა დროს და ჟამს,
თუკი ჩვენად ვიწამებთ,
მომავლისაც წუთს და წამს
მივითვისებთ, სად წავლენ.

დრო კვლავ მიიპარება,
ვითარც ღამე ქურანი,
იგივ მუდამ თავნება,
იმისი დრო სულ არი.

## გადამრიეს ამ სიზმრებმა

ღამღამობით სიზმრებს ვხედავ,
ზოგი მახსოვს, ზოგი - არა,
მიმაჩნია მაინც ჩემად,
ვერ ავხსენი ამოცანა.

ხანდახან ხომ შენც გაკრთები,
თითქოს მიკრავ ვიოლინოს,
მოფრინდები ლამაზ ფრთებით,
სხვებმა რომ არ იბოგინოს.

ჩემ სიზმრებში დედოფლად ხარ,
გინდა, რომ მე ვიყო მეფე,
ჩემს წარსულში რად არ ჩანხარ,
ადრე რად არ შემეფეთე?..

გადამრიეს ამ სიზმრებმა,
გულზე მადებს, თითქოს, ლოდებს,
ნეტავ, სხვაგვარ რად იქნება,
მოვალ შენთან, დამელოდე!..

ანდა, სულაც მოდი ჩემთან,
სიზმარს ცხადად ამიხდენდე,
ვიოლინოს დაკვრის ხმაზე
მსურს დავემშვიდდე, არ ავმხ-
ედრდე.

* * *

თურმე ყველაფერს ეჩვევა
ამქვეყნად ადამიანი,
სასწაულებიც აქ ხდება,
დადიან აქ დარდიანი.

ზოგს რა ადარდებს და ზოგს - რა,
ზოგსაც ულხინს და ზეიმობს,
ზოგმა დრო აღარ დაზოგა,
კაშკაშებს, თითქოს, მზე იყოს.

ღმერთო, ამრავლე ზეიმნი
ამ ჩემს დალოცვილ მამულში,
ცაზე ხომ ისევ მზე მიდის,
არ დაბრუნდება წარსულში.

ყველამ წინ და წინ ვიმზიროთ,
შევიქმნათ რომ მომავალი.
შენ, ჩემო დედოგამზირო,
გვახსენე ჩვენ ჩვენი ვალი.

## ღრუბლებში ფრენას ნაჩვევი

მეგონა, ღრუბლებში ვფრენდი,
თურმე ნისლ ჩამოწოლილა,
სამშობლოს მაჯისცემაზე
ხელის დადება მომინდა.

მაღლა ვფრენდი და ვფიქრობდი,
ფიქრი ნისლს გადაეხლართა,
არ ვიცი, საით მივქროდი,
რით მეხსნა ჩემი ქვეყანა.

არვინ ჩანს ყურის დამგდები,
თუნდ იყიჟინო გინდა რა,
მშობლიურ ღვინით ებანგდები,
ველარ ვიხადე ბეგარა.

ბურუსში გზები ვიკვლიე,
ნისლ-ღრუბელთ შექმნეს ქაოსი,
დრო მკლავზე გადავიწვინე,
მზეს დავუყენე ტაროსი.

ღრუბლებში ფრენას ნაჩვევი,
ნისლთა ბურუსმა დამდაგა,
შენი დარდი, თუ ან ჩემი,
მათ ფონზე არსად არ ჩანდა.



### ია კურტანიძე

## ...საფიცრად ...დამენანაო

რომ ის კარგია, მუდამ ლამაზი
მე არ მჭირდება, რამის მცდელობა
უფლისგან მერგო,მე ეს სიმდიდრე
საქართველო და თვით ქართველობა.

თვალებს მჭრის, გულს კი მიჩქარებს
მისი მთა, მისი მინდორი
აქ ხომ, ყველაფერს ატყვია
ქრისტეს რჯული და მირონი.

მისით ვხარობთ და ვამაყობთ
ბავშვი, კაცი თუ ქალია ,
ყველა მათგანი, უკლებლივ
ამ სიყვარულით მთვრალია.

ჩემი ქვეყანა... სამშობლო
სულ ლამაზია, ყველა დროს
მისი შემყურე, მნახველი
სტუმარს არ ვილევთ, არასდროს.

ერთმა სთქვა, ეს ქვეყანაო
თან უნდა, გამეტანაო
მეორემ ის ისე, მომწონს
გული წაიღო... თანაო.

ენავ შეჩერდი,გაჩუმდი,
რაცა სთქვი,ეგეც კმარაო
გულმა პასუხი... უბრუნა
ჯერ ეგ რა არის, არაო.

აქ უფლის სახლებს ამშვენებს
გუმბათიანი... თავები,
ქართულ მიწაზე, ბევრგან გვაქვს
ტაძრები... სალოცავები.

მიწაზე სარძიკველი დგას
ცას თავზე ჯვარი ამშვენებს
უფლის და სალოცავების
გვწამდა,დღესაც გვწამს ქართველებს.

ყველაფრით უხვი, ულევი
ან ეს,საიდან სადაო
მისი მტრობა და ქიშპობა
ეს ბევრმა,უკვე სცადაო.

რომ ის კარგია, მუდამ ლამაზი
მე არ მჭირდება, ბევრი მცდელობა
უფლისგან მერგო, მე ეს სამოთხე,
საქართველო და თვით ქართველობა.

ერთმა სთქვა,ეს ქვეყანაო
თან უნდა გამეტანაო,
მეორემ ის ისე,მომწონს
გული წაიღო... თანაო.

ჩემი ქვეყანა,რომ გიყვართ
მე ეს, შემშურდა განაო
გულზე... ხელები დავიწყე,
საფიცრად... დამენანაო.

## ...ლექსებში ვიპოვე, რითმებში ვიპოვე...

**ლექსებში** ვიპოვე,რითმებში ვიპოვე
სიცოცხლის აზრი და სათავე
თითეულ სტროფისთვის, თითეულ გრძნობისთვის
ყველაფერს დავთმობდი,ახლავე.

მისით რას არ შევძლებ, მისთვის რას არ ვიზამ
ცხრა მთას და ცხრა ზღვასაც მოვივლი,
ზოგან დავისვენებ, ხის ძირს ჩამოვჯდები,
რთულ გზაზე ყოველ-დღე რომ ვივლი.

ეკლებს გავეცლები... ბალახს შევეხები
მინდვრებში ყვავილებს დავკრიფავ,
ხიდან ჩამოცვენილ ფოთლებს შევაგროვებ,
გულში ჩავიხუტებ... ავკრიფავ.

მიწას დავილოცავ ჩემს ქვეყანას,
ფუძეს დავულოცავ მომავალს,
უფალს ბარაქას შევავედრებ,
მისგან ბოძებულ მოსავალს.

ყველას კარგად ყოფნას, მე თქვენს ჯანმრთელობას
რამდენჯერ ვინატრებ, არ დავთვლი,
მე თქვენთვის ვილოცებ, იმდენჯერ დაგლოცავთ,
ცაში ვარსკვლავებს... გადავთვლი.

ყველას თუ არ ვუყვარვარ, ყველა თუ ვერ მიგებს
ამისთვის არავის არ ვწირავ,
უფალს ვუგალობებ, ობოლს ვუპატრონებ,
საწყალს... არასოდეს გავწირავ.

ლექსებში ვიპოვე, რითმებში ვიპოვე
ცხოვრების აზრი და სათავე,
ყოველი სტროფისთვის, ყოველი გრძნობისთვის,
სიცოცხლეს... დავთმობდი ახლავე.

უფალს კი ამას შევთხოვ, სანამ ვიარსებებ,
მუზისგან წამით არ ამყაროს,
მე,ბ ოლო სათქმელსაც ლექსად ვიტყვი
და ასე... დავტოვებ სამყაროს.



## მანანა კორძახია

### ბუტე-ბუტე

**ბუტე-ბუტე,** გამებუტე,
აღარ მელაპარაკები?
განყენინე, „გაატარე",
ხომ ამბობდი, რომ გიყვარდი.

ვიცი, ახლა ჩემზე ფიქრობ,
მე არ გეტყვი, ნუ ბრაზდები...
ხასიათი ასეთი მაქვს,
ჩემი ბრალი სულ არ არი.

შენი ლექსის სტრიქონები
ახლაც გულში ჩამრჩენია,
თვალ-წამთაგან პეპლები რომ
უსაშველოდ მასხდებიან...

ბუტე-ბუტე გამებუტე
აღარ მელაპარაკები?
დრო ყველაფრის მკურნალია,
დაივიწყე ყველაფერი.

ნუ მიიტან ახლოს გულთან,
დღეს რაც გტკივა და ძნელია,
ამინდებიც სულ იცვლება,
იმედები არ კვდებიან...

სიხარული მუდამ მოსდევს
გულში წყენად რაც გრჩენია,
გამიღიმე შემირიგდი,
თორემ მერე გვიანია.

უჩემობა სასჯელია,
უფრო მეტად დაისჯები,
შემირიგდი სანამ დროა,
თორემ სხვასთან გაფრინდები.

### როცა

როცა კალამი აეიღე,
შენთვის დავიწყე წერა,
უცნაურია ცხოვრება,
ახლა რომ ვერსად გხედავ.

თვალწინ მიდიხარ მოდიხარ,
თავს დამტრიალებ, მიცქერ
და მაინც ვერ დაიჯერე,
რომ აღარ ვფიქრობ შენზე,

კვლავაც აჩრდილად დამყვები,
თავს არ მანებებ არსად,
გულში სულ აღარ შემომრჩი,
თვალებში დამრჩი მარად.

### „გაღმა ნაპირიდან"

**მიცქერ** გაღმა ნაპირიდან,
ვით სამიზნეს თეთრი გედი,
და ამურის მძიმე ისრებს
ვიგერიებ შენგან ფრენილს...

ვიგერიებ ფრთხილად, სევდით,
ვით გილზები ასხლტებიან,
ნუ გგონია შენზე ფიქრში
გამიტაცებს აგონია...

ვხვდები, რომ გსურს მომაქციო
სიყვარულის მარწუხებში,
შენთან ყოფნის მოლოდინში
კაეშანის გავხდე გზირი.

მიცქერ გაღმა ნაპირიდან,
ვგრძნობ სამიზნე გავხდი შენი,
თუმც მშვიდად ვარ, გულს ვერ ავნებ
აღარ მიძგერს საგულეში.

### დიდ გზაზე

დიდ გზაზე ტკივილით მივყვები,
თუმცა არ წამიხდა მიზანი,
რა მსურდა? „ლედობა" ნამდვილი,
მუდმივად გავრბივარ ამისთვის...

ვერ შედგა შეხვედრის წუთები,
ალბათ, არ ინება განგებამ...
ხო მთხოვე, რამდენჯერ მითხარი
და მაინც არ მოხდა შეხვედრა...

ცხოვრების ქარბუქი მახელებს,
ბეწვის ხიდს გავდივარ უცვლელად,
მე, როგორც ხომალდის მესაჭე,
აისბერგს ვუმიზნებ მუდმივად.

მაწყნარებს ჩემ ბედთან თამაში
„რევანშში" დავღალე ძალიან,
არასდროს სხვებთან არ ვომობდი...
მოვთოკე ნერვები ცხადია.

შორიდან შევცქერით ერთმანეთს,
ვგრძნობ, ალბათ, ხიდია ჩამტყდარი,
თუ მოხვალ როდესმე ჩემამდე...
იქნება უთუოდ ზამთარი.

### სევდის წვიმაში მაცეკვე

სევდის წვიმაში მაცეკვე,
შტრაუსის ვალსი ნაზად,
მერე გამიშვი ხელი და,
ვით თეთრი გედი, წავალ.

სურვილებს აუხდენელებს
წავიღებ თქვენსას მრავალს,
თუმცა გული ნუ დაგწყდებათ,
არც მე ამიხდა მრავლად...

სიოს მონაბერ ქროლვისას
ნიავი ფოთლებს აცვენს
და ჯადოსნური ფლეიტა
სევდიან ნოტებს აფრქვევს...

მთვარის ნათება სირმებად
იღვრება როგორც წვიმა,
და ვით ფერია ზღაპრიდან
ისე ვიცეკვო მინდა...

მაცეკვე სევდის წვიმაში
შტრაუსის ვალსი ნაზად,
რომ ცეკვის ბოლოს, ვით გედი,
ხელში ჩაგაკვდე ნაზად.



## ნანა ღვინაშვილი

* * *

ამ თალხ ღრუბლებში
გახვეული წუთისოფელი,
ჩუმ ძილ-ღვიძილში ზოგჯერ
ისე მემარტივება,
რომ აღარ მაბნევს ის საგზალი
უკვე რომელიც,
კაცთან ერთად ვერ დაიტიეს
ძველმა ტივებმა...

და ნაწვიმარზე როგორც იცის
ნამმა ბალახზე,
განთიადამდე ერთი ღამით
დაბინავება,
ადამიანის ღრმა ფიქრებიც
ასე თვლემს
თითქოს რეალობისკენ
წასასვლელი გზა თუ აებნა...

თალხი ღრუბლების აჩრდილები
ბრწყინავს ცის ქიმზე,
და დასტრიალებს დედამიწას
ნისლის მორევი,
უამინდობის შიში თუმცა
როგორ შეგბოჭავს,
თუ გულცივ ბრბოში
მზის სხივივით გამოერევი...



## ვახტანგ გოგუა – 70

ოჩამჩირლების კავშირი **„ერთობა"** თავის წევრს, იურისტს, **ვახტანგ გოგუას** გულმხურვალედ ულოცავენ ამავე კავშირის წევრები, მეგობრები და ახლობლები 70 წლის იუბილეს, რომელიც 2 მაისს, 2023 წელს შეუსრულდა. უსურვებენ წარმატებებსა და წინსვლას პირადსა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ოჩამჩირელთა კავშირი **„ერთობას"** სახელით: **თენგიზ ნორაკიძე, ლორენცო შარანგია, თამაზ ჩიქობავა, ომარ ჟვანია, იურა დოჩია, გივი ჩხეტია, რეზო ჩხეტია, თემურ ჩიქობავა, ელდარ აბლოთია, დილარ კემულარია, ოთარ წურწუმია, დავით ჯაფარიძე, ლევან ლაგვილავა, ემზარ თუნგია, თამაზ ჩხვირკია, გურამ რიგვავა, ემზარ მიქავა, გია შანავა, ნოდარ კემულარია, ანზორ გერგედავა, თამაზ კალანდია, რომან ქვაჩახია, ნოდარ წახნაკია, რაულ ჯანაშია** და სხვები.

## რაულ ჯანაშია – 83



ოჩამჩირლების კავშირი **„ერთობა"** თავის წევრს, ინჟინერ-მელიორატორს, **რაულ ჯანაშიას** გულმხურვალედ ულოცავენ ამავე კავშირის წევრები, მეგობრები და ახლობლები 83-ე იუბილეს, რომელიც 3 მაისს, 2023 წელს შეუსრულდა. უსურვებენ წარმატებებსა და წინსვლას პირადსა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ოჩამჩირელთა კავშირი **„ერთობას"** სახელით: **თენგიზ ნორაკიძე, ლორენცო შარანგია, თამაზ ჩიქობავა, ომარ ჟვანია, იურა დოჩია, გივი ჩხეტია, რეზო ჩხეტია, თემურ ჩიქობავა, ელდარ აბლოთია, დილარ კემულარია, ოთარ წურწუმია, დავით ჯაფარიძე, ლევან ლაგვილავა, ემზარ თუნგია, თამაზ ჩხვირკია, გურამ რიგვავა, ემზარ მიქავა, გია შანავა, ნოდარ კემულარია, ანზორ გერგედავა, თამაზ კალანდია, რომან ქვაჩახია, ნოდარ წახნაკია, ვახტანგ გოგუა** და სხვები.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი"
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოვი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N4 (4611)
17 მაისი / 2023 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113